# ახალი განათლება

3 – 9 დეკემბერი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

№37 (711) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge




გვერდი 4

## უფროსი მასწავლებელი – სავალდებულო და დამატებითი აქტივობები

მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის მიხედვით საფეხურებზე გადანაწილებული პედაგოგებიდან 15 239-ს უფროსი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭა. უფროს მასწავლებელს, 4 წლის განმავლობაში, გარკვეული სავალდებულო და დამატებითი აქტივობების განხორციელება მოუწევს იმისთვის, რომ სტატუსი შეინარჩუნოს ან წამყვანი მასწავლებლის პოზიციაზე გადავიდეს. რომელი აქტივობაა უფროსი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებლად სავალდებულო და რომელი – წინსვლისთვის, როგორ ხდება კრედიტქულების დაგროვება – ამის შესახებ გვესაუბრება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტ-კონსულტანტი **მანანა რატიანი.**

**– სქემის მიხედვით უფროსი მასწავლებლის საფეხურზე რომელი კატეგორიის მასწავლებლები გადანაწილდნენ და დღეს რამდენი უფროსი მასწავლებელია სისტემაში?**

– სქემაში მასწავლებლები განაწილდნენ 30 სექტემბრამდე და 15 239-მა მასწავლებელმა უფროსი მასწავლებლის სტატუსი მოიპოვა. იმის გამო, რომ 1500-მა მასწავლებელმა ვერ გაიარა რეგისტრაცია სხვადასხვა მიზეზების გამო, სქემის ვადებში ცვლილებები შევიდა და 31 დეკემბრით განისაზღვრა, რაც გულისხმობს, რომ ეს მონაცემები გაიზრდება. უფროსი მასწავლებლის საფეხურზე გვყავს ორი სხვადასხვა კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი. პირველი – სერტიფიცირებული მასწავლებლები, ისინი, ვინც 2010 წლიდან ჩააბარეს საგნის და პროფესიული უნარების გამოცდა, შესაბამისად, მათ სახელმწიფოს იმდროინდელი მოთხოვნები დროულად შეასრულეს და დააკმაყოფილეს. სქემაში მასწავლებლების მიღწევები არ დაგვიკარგავს და ისინი უფრო მაღალ საკვალიფიკაციო საფეხურზე გავანაწილეთ, ვიდრე დანარჩენები; მეორე – სისტემაში გვყავს აკადემიური დოქტორის ხარისხის მქონე პედაგოგები, მათგან, სერტიფიცირებულები წამყვანი მასწავლებლის საფეხურზე განაწილდნენ, ხოლო დოქტორები, რომლებიც არ არიან სერტიფიცირებული, უფროსი მასწავლებლის სტატუსი მოიპოვეს.

ზოგადად, არაერთგვაროვანი სურათი გვაქვს – უფროს მასწავლებლებში გვყავს ისეთები, რომლებიც ადრე არსებულ მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში იყვნენ ჩართულები და ახორციელებდნენ სხვადასხვა აქტივობებს. მასწავლებლებს, რომლებიც ნებაყოფლობით ჩაერთვნენ სქემაში (მაშინ სავალდებულო არ იყო) და ახორციელებდნენ აქტივობებს, შევთავაზეთ შეფასების კრიტერიუმები, რომ ჩვენთან წარმოედგინათ მათ მიერ განხორციელებული აქტივობები. დღეს მიმდინარეობს მათი საქმიანობის შეფასება, ანუ მათ მიერ განხორციელებული აქტივობები კრედიტქულებით შეფასდება და დეკემბრის ბოლოს ეცოდინებათ, რამდენი კრედიტქულა ულიარდებათ ახალ სქემაში. შესაბამისად, ეს პედაგოგები დაწინაურდებიან, მათ უფრო მალე ექნებათ შანსი, გახდნენ წამყვანი მასწავლებლები.



## გაბედულება ჩემმა საყვარელმა წიგნებმა მომცა

მაღალკვალიფიციური კადრების მიგრაცია, ე.წ. „ტვინების გადინება“, პრაქტიკულად, მთელი პოსტსაბჭოთა სივრციდან მიმდინარეობს. პროცესი მტკივნეულია და დასანანი, რომ ქვეყანა ნიჭიერი ახალგაზრდებისგან იცლება.

დღევანდელი სტუმარიც საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველია – ასიროლოგი, ლუვენის (ბელგია) კათოლიკური უნივერსიტეტის ცივილიზაციის, ხელოვნებისა და ლიტერატურის ინსტიტუტის აღმოსავლეთმცოდნეობის ცენტრის მკვლევარი, ფილოლოგიის დოქტორი **თამარ პატარიძე.**

გვერდი 6

## ტენდენციები, რომლებმაც დარგის განვითარება უნდა უზრუნველყოს



პროფესიული განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის შესახებ, ძალზე მწირი ინფორმაცია აქვს საზოგადოებას. არადა, სფეროს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად განვითარება პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლასთან. ცნობილია, რომ განვითარებულ ქვეყნებში უმაღლესი განათლების მქონე პირთა რაოდენობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე პროფესიული განათლების მქონეთა. ჩვენთან, სამწუხაროდ, პირიქითაა.

რა კეთდება იმისთვის, რომ ვითარება კარდინალურად შეიცვალოს და რა დადებითი ტენდენციები იკვეთება დღეისათვის. ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერი **კახაბერ ერაძე.**

გვერდი 2

CMYK

## კონკურსი უფროსკლასელთათვის

# „ზღაპრები და ლეგენდები ბებიას სკივრიდან“ გახდი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგი!

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ საფუძველი ჩაუყარა უფროსკლასელთა კონკურსს სახელწოდებით **„არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგი“.** წელს კონკურსი მეოთხედ იღებს სტარტს. თავად მიმართულების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ყოველწლიურად იცვლება კონკურსის თემატიკა. პირველად, 2012 წელს, კონკურსი ზოგად, გაცნობით ხასიათს ატარებდა. მომდევნო ორი წლის განმავლობაში კონკურსმა კონკრეტული ამოცანები დაისახა თემებით: **„ტრადიციული ხელსაქმე და ხელოსნობა“** და **„გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების ტრადიციები საქართველოში“.**

წელს საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების უფროსკლასელებს ვთავაზობთ კონკურსს თემაზე **„ზღაპრები და ლეგენდები ბებიას სკივრიდან“.**

### კონკურსის მიზანია:

❖ გამოავლინოს უხუცესების მეხსიერებაში შემონახული სხვადასხვა კუთხის უძველესი ზღაპრები და ლეგენდები, ზეპირსიტყვიერების სხვა ნიმუშები;

❖ გაზარდოს საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდების, ინტერესი მათი კუთხის არამატერიალური მემკვიდრეობის მიმართ;

❖ ჩართოს საქართველოს ახალი თაობა არამატერიალური მემკვიდრეობის ნიმუშების მოძიებასა და ფიქსაციაში;

❖ გაუღვივოს მათ ინტერესი წინაპრების კულტურისა და შემოქმედებისადმი.

### კონკურსი მოეწყობა ორ ტურად:

### პირველი ტური

გულისხმობს სკოლაში მოსწავლეთა ნამუშევრების პირველად სელექციას, რომელიც, სკოლის ადმინისტრაციის მიერ, საკონკურსო პირობების ყველა ნორმის დაცვით იქნება შერჩეული და გადმოგზავნილი მითითებულ ელმისამართზე (იხ. საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა), საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ხელმძღვანელობამ თავად უნდა გაუწიოს მოსწავლეს ტექნიკური დახმარება.

### თითოეული ნაშრომი უნდა მოიცავდეს:

**1. ვორდის ფაილში დაწერილ საკონკურსო ნამუშევარს;**

**2. მოსწავლეების მიერ მოთხრობილი ამბის მიხედვით ცალკე შესრულებულ (დახატული, გამოძერწილი, კონსტრუირებული და სხვ.) ილუსტრაციებს და მათი მაღალი ხარისხით გადაღებულ ფოტოებს (რაოდენობა შეზღუდული არ არის). ფოტოები უნდა გადმოიგზავნოს ვორდის ფაილში შესრულებულ ნაწერთან ერთად jpg ფორმატში;**

**3. ელემენტზე მუშაობის ამსახველი ფოტომასალა, გადმოგზავნილი ასევე jpg ფორმატით;**

**4. ვორდის ფაილში დაწერილი ნაშრომი გაფორმებული უნდა იყოს მონაწილის მიერ შესრულებული ილუსტრაციების ფოტოებით, რათა ნამუშევრების გადარჩევისას კომისიის წევრებს გაუადვილდეთ მათი შეფასება.**

<u>სასურველია</u> ნიმუში ჩაიწეროს თქვენი რეგიონის (სოფლის, ქალაქის, ქუჩის, უბნის, ოჯახის, და ა.შ.) მკვიდრი მოსახლისაგან.

<u>სასურველია</u> მოძიებული და ჩაწერილი ნიმუში ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებად იყოს ცნობილი.

სკოლის შიდა შერჩევის შედეგად შერჩეული საუკეთესო ერთი ან რამდენიმე ნიმუში სკოლამ უნდა გადმოაგზავნოს:

❖ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ელფოსტაზე aramaterialuri@yahoo.com,

❖ ან გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციაში,

❖ ან მოგვაწოდოს ფოსტით – „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“, მისამართზე: თბილისი, 0105, თაბუკაშვილის ქ. 5.

საინტერესო ნაშრომების ავტორები მონაწილეობას მიიღებენ მეორე ტურში.

### მეორე ტური

მეორე ტურში გადასული მოსწავლეები, კონკურსის ორგანიზატორების შენიშვნების გათვალისწინებით, ჩაასწორებენ ნიმუშებს და ხელახლა გადმოგზავნიან კონკურსის გამარჯვებულის გამოსავლენად.

გამარჯვებული ნიმუშების მიხედვით შედგება ილუსტრირებული კრებული, რომელიც გამოიცემა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ და საჩუქრად გადაეცემათ ავტორებსა და კონკურსში მონაწილე სკოლებს, ასევე სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს.

გამარჯვებული ავტორი (სკოლა, მასწავლებელი, მოსწავლე), საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ დაჯილდოვდება საგანგებო სიგელით და მიიღებს „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგის“ წოდებას. ნამუშევრები გამოქვეყნდება გაზეთ „ახალ განათლებაში“. გაშუქდება მასმედიით.

### საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა:

1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – *დასახელება;*
2. იდეის ავტორი – *სახელი, გვარი;*
3. ხელმძღვანელი პედაგოგი – *სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელმისამართი);*
4. ქალაქი (რაიონი, სოფელი) და სკოლის სრული დასახელება;
5. სკოლის დირექტორი – *სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელელეფონი, ელმისამართი);*
6. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის სხვა დასახელება (რამდენიმე დასახელების შემთხვევაში, მიუთითეთ ყველა სათაური და დაურთეთ კომენტარი);
7. ნიმუშის აღწერა.

***აღწერისათვის უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:***

❖ რას წარმოადგენს თქვენ მიერ შერჩეული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში (ზღაპარი, იგავი, თქმულება, ლეგენდა და ა.შ.) – *მოკლე განმარტება ნიმუშის შესახებ;*

❖ ნიმუშის სახელწოდება *(აგრეთვე, მიუთითეთ თუ არის ცნობილი თქვენ მიერ აღწერილი ნიმუშის განსხვავებული, სხვა სახელწოდება);*

❖ ნიმუშის ჩაწერის აღწერილობა – *სად, როდის, რისთვის და ვის მიერ იქნა მოთხრობილი და ჩაწერილი ეს ნიმუში და ვისგან აქვს მოსმენილი თავად მის მთხრობელს;*

❖ ტრადიციულად, რა დროს, რა შემთხვევაში ჰყვებოდნენ მას *(ასეთის არსებობის შემთხვევაში, აღწერეთ გარემოება, როდესაც ჰყვებოდნენ ამ კონკრეტულ ნიმუშს);*

❖ *რას უკავშირდებოდა აღნიშნული ამბის თხრობა/გამოყენება/შესრულება;*

❖ *რა ატრიბუტები უკავშირდება/თან ახლავს მის თხრობას/გამოყენებას/შესრულებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში დააფიქსირეთ ფოტოზე);*

❖ *სხვა პირობები, რომელიც აუცილებელია აღნიშნული ნიმუშის თხრობის დროს;*

❖ *რა როლი ენიჭება თქვენ მიერ შერჩეულ ნიმუშს საზოგადოების კულტურულ, ან რელიგიურ, ან ყოველდღიურ ცხოვრებაში. დაასაბუთეთ შემოთავაზებული ნიმუშის მნიშვნელობა (უნიკალობა ან ორიგინალობა) პირადად თქვენთვის (რეგიონისთვის, სოფლისთვის, ოჯახისთვის, სკოლისთვის...), საზოგადოებისათვის;*

❖ ***აღწერეთ თავად ნიმუში* – სასურველია, სიტყვების საერთო რაოდენობა არ იყოს 500 სიტყვაზე ნაკლები.**

სპეციფიკის გათვალისწინებით წარმოდგენილ ნაშრომს უნდა ახლდეს შესაბამისი თვალსაჩინო მასალა: ფოტო, ვიდეო (შესაძლებლობის შემთხვევაში), ასევე ჩანახატი, ჩანახაზი, შაბლონი, სქემა, ესკიზი და სხვ.

ნამუშევრებს, სპეციალისტებთან ერთად, განიხილავენ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტები.

**გადმოგზავნის ვადაა 2016 წლის 1 მარტი.**

***გვეკონტაქტეთ:*** სამუშაო დღეებში
(32)298-39-24, 13სთ-დან 15სთ-მდე
ან 599 08 40 03; 599 08 40 14;
aramaterialuri@yahoo.com

მაკა თაქთაქიშვილი, სალომე ხმიადაშვილი,
კოტე ნაცვლიშვილი

***საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს იუნესკოსა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის არამატერიალური მემკვიდრეობის განყოფილება***

## პროფესიული განათლება

# ტენდენციები, რომლებმაც დარგის განვითარება უნდა უზრუნველყოს

*პირველი გვერდიდან*

**– რა ფუნქცია აქვს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში?**

– საქართველოში პროფესიული განათლების მიღება შესაძლებელია როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური გზით. რაკი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მიღება ხორციელდება ავტორიზაციის პროცედურების გავლის გზით, ჩვენი ცენტრი პროფესიული დაწესებულებებისათვის ავტორიზაციისა და მათ მიერ განხორციელებული პროგრამებისათვის აკრედიტაციის პროცედურებს უზრუნველყოფს, ისევე როგორც ზოგადი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის. თუ 2013-2020 წლებში განსახორციელებელი რეფორმის კუთხით შევხედავთ, ჩვენი ცენტრის კომპეტენციაში გაცილებით მეტი კომპონენტი შედის, მას ერთ-ერთი წამყვანი ფუნქცია ენიჭება სფეროს განვითარებაში, რადგან ცენტრის შიგნით ფუნქციონირებს პროფესიული კვალიფიკაციების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტანდარტების გადამუშავებას, სტანდარტების და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების შექმნას, მატერიალური და რესურსების საჭიროების იდენტიფიკაციას, საგანმანათლებლო რესურსების შექმნას და მოდულური პროგრამების დანერგვის ხელშეწყობას.

**– რა სახის საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა ბოლო ორი წლის განმავლობაში და რა მიზნით?**

– განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები პირდაპირ უკავშირდება პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიით გათვალისწინებულ აქტივობებს. პირველ რიგში იმის შესახებ, თუ რატომ გახდა აუცილებელი ცვლილებები კანონმდებლობაში: აქამდე ჩვენ გვქონდა საგნობრივი პროგრამები, რაც იმას ნიშნავს, რომ სასწავლებელი, საკუთარი მატერიალური და ადამიანური რესურსებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, თავად შეიმუშავებდა საგანმანათლებლო პროგრამას. რეფორმის სტრატეგიიდან გამომდინარე კი გადავდივართ ეროვნულ დონეზე შემუშავებული პროგრამების განხორციელებაზე, რასაც მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებს ვეძახით. ეს მიდგომა მეტად უზრუნველყოფს შრომის ბაზართან თავსებადობას, იმიტომ რომ, ჯერ ვქმნით სტანდარტს – პროფესიის აღწერას – რას ელოდება დამსაქმებელი შესაბამისი პროფესიის მქონე ადამიანისგან, რა უნარებს, ცოდნას, რა სახის სამუშაოს შესრულებას. ამას ვაკეთებთ აპრობირებული ე.წ. DACUM – კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიით, სადაც ჩართულია დამსაქმებელთა ფართო სპექტრი – მსხვილი და მცირე ბიზნესი, მეწარმეები, დასაქმებულები... ისინი ერთად ქმნიან პროფესიულ სტანდარტს, რომლის საფუძველზეც იქმნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი, ანუ ეროვნული საგანმანათლებლო სტანდარტი. ეს უკანასკნელი კი საფუძველია პროფესიული სასწავლებლებისათვის საგანმანათლებლო პროგრამების შესაქმნელად. იმის თქმა მინდა, რომ საგნობრივისგან განსხვავებით (როცა სასწავლებელი შესაძლებლობისა და ინტერესების მიხედვით ქმნიდა პროგრამას), ეროვნულ პროგრამებში რესურსი წინასწარაა განსაზღვრული – რა სჭირდება ამა თუ იმ პროფესიის შესწავლას, ასევე პროგრამის გავლის შედეგად მისაღწევი სწავლის შედეგები. პროგრამა ნამდვილად მოდის თავსებადობაში კანონის განმარტებასთან, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ესაა პრაქტიკული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული პროგრამა. თუ აქამდე არსებული საგნობრივი პროგრამები ძალიან ჰგავდნენ აკადემიურ პროგრამებს, ახალი პროგრამები ორიენტირებულია კეთების უნარების განვითარებაზე, რაც, ცალსახად, სწორია.

ამ მიდგომის დანერგვას სჭირდებოდა სწორედ ცვლილება კანონმდებლობაში, რათა ასახულიყო მოდულური პროგრამის არსი და განმარტება. არსებითი ცვლილებები გამოიწვია ამან შეფასების სისტემაშიც, რადგან არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარის შეფასების მეთოდოლოგია. მარტივად რომ ვთქვათ, ადამიანს ან აქვს რაიმეს კეთების კომპეტენცია დადგენილი სტანდარტების მიხედვით, ან – არა. აქ შუალედური მდგომარეობა გამორიცხულია.

ძირითადად ეს ცვლილებები განხორციელდა, ჯერჯერობით, კანონმდებლობაში, თუმცა მომავალში უფრო რადიკალურსაც უნდა ველოდოთ. მზად არის ახალი კანონპროექტი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომლის ერთ-ერთი მიზანია იმ ჩიხური მდგომარეობის აღმოფხვრა, რასაც ქმნის მოქმედი კანონმდებლობა. მხედველობაში მაქვს შეზღუდვა, რომელიც საბაზო განათლების საფუძველზე პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირს ეროვნული გამოცდების ჩაბარების უფლებას არ აძლევს, რადგან მას არ აქვს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დამთავრების ატესტატი. ახალი მიდგომით, ასეთ პირს პროფესიული განათლების პარალელურად მიეცემა ზოგადი განათლების საფეხურისათვის დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის საშუალება (რასაც სტრატეგიაც ითვალისწინებს), რაც გზას გაუხსნის მას უმაღლესი განათლებისაკენ.

**– როგორ უნდა მოიქცნენ პროფესიონალები, რომლებსაც აქვთ მაღალი დონის უნარები, მაგრამ არა აქვთ დიპლომი, რის გამოც შესაძლოა ვერ დასაქმდნენ?**

– პროფესიული განათლების ხიბლი იმაში მდგომარეობს, რომ მისი მიღება შეიძლება როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების გზით. ფორმალური ნიშნავს, როცა ავტორიზებულ, საგანმანათლებლო დაწესებულებაში დაეუფლებით პროფესიას, ხოლო არაფორმალური, მაგალითად, მიებაროთ სახელოსნოში გამოცდილ ხელოსანს და იქ განავითაროთ პრაქტიკული უნარები, ანუ არაფორმალურ გარემოში. პირველი გზით მიიღებთ პროფესიულ განათლებას თუ მეორეთი, ერთსა და იმავე კვალიფიკაციაზე გადიხართ. სწორედ ასეთ შემთხვევებზე კეთდება აქცენტი ამჟამად – ეს არის არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმი. ასეთი პირები შეფასდებიან, შემოწმდება მათი ცოდნა-უნარები და პროფესიულ სტანდარტთან მათი თავსებადობის შემთხვევაში, მიენიჭებათ პროფესიული კვალიფი-

## პროფესიული განათლება

კაცია და გაიცემა შესაბამისი დიპლომი. ჩვენი აზრით, ეს უფლება, პირველ რიგში, პროგრამის განმახორციელებელ სასწავლებელს უნდა მიეცეს, თუმცა უნდა ვიფიქროთ სხვა მიდგომებზეც. ჩვენ შემუშავებული გვაქვს შეფასების ეროვნული სტანდარტები, რის მიხედვითაც მიენიჭება კვალიფიკაცია როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების შემთხვევაში. აღიარების ჯგუფში სავალდებულო წესით უნდა შედიოდნენ შესაბამისი ბიზნესის წარმომადგენლები, დასაქმებულები, პროფესიონალები, რათა ეს იყოს კოლეგიალური გადაწყვეტილება საქმის მცოდნე ადამიანებისა. ჩვენ აღიარების პროცედურაში არ ვმონაწილეობთ, შემოვიფარგლებით მხოლოდ მისი ხარისხის კონტროლით, ანუ მოგვიანებით შევამოწმებთ, რამდენად სწორად იქნა პირის არაფორმალური განათლება აღიარებული – ნამდვილად გამოიყენეს თუ არა შეფასების ეროვნული სტანდარტი აღიარებისას.

ვფიქრობ, არაფორმალური განათლების აღიარების გამჭვირვალე მექანიზმების დანერგვა სწორი გადაწყვეტილებაა, რადგან იგი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს დასაქმების მხრივ, მით უმეტეს, რომ აქ ახალი არაფერია, ეს მიდგომა მთელ მსოფლიოშია მიღებული.

**– არსებობს თუ არა პრიორიტეტული პროგრამები და აფინანსებს თუ არა მათ სახელმწიფო?**

– რაც შეეხება პრიორიტეტულ პროგრამებს დაფინანსების კუთხით, ჩვენ ამჟამად ასეთი არ გვაქვს. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება ყველა სტუდენტი, ნებისმიერ პროგრამაზე, ვინც ერთიანი პროფესიული ტესტირების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხება სახელმწიფოს მონაწილეობით დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

**– ითვალისწინებთ თუ არა შრომის ბაზრის მოთხოვნებსაც?**

– რა თქმა უნდა, სახელმწიფო რესურსი, პირველ რიგში, სწორედ შრომის ბაზრის მოთხოვნის გათვალისწინებით უნდა დაიხარჯოს. რამდენიმე კვირის წინ მივიღეთ ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის შედეგები, რაოდენობრივი და ხარისხობრივი. კვლევის მიზანია გამოიკვეთოს პრიორიტეტული, მოთხოვნადი პროფესიები და თუ აღმოჩნდება, რომ მათ შორის არის ისეთი პროფესია, რომლის სტანდარტიც არ არსებობს, ჩვენმა სამსახურმა მისი შექმნა უნდა უზრუნველყოს.

**– რამდენი და რა ტიპის პროფესიული სასწავლებელი ფუნქციონირებს საქართველოში? ხომ არ იგეგმება ქსელის გაფართოება?**

– დღევანდელი კანონმდებლობით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება აქვს ყველა ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებას – ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებს. შესაბამისად, დღეს სისტემაში გვაქვს 14 კერძო სკოლა, რომელიც სასკოლო პროგრამის პარალელურად მოსწავლეებს სთავაზობს პროფესიულ პროგრამებს; 92 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, მათ შორის 20 სახელმწიფო ან სახელმწიფოს მონაწილეობით დაფუძნებული და 26 საჯარო და კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლებიც პროფესიული პროგრამების საკმაოდ ფართო სპექტრს სთავაზობენ საზოგადოებას.

რაც შეეხება ქსელის გაფართოებას, ეს აუცილებელია, რომ პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა უფრო მაღალი იყოს, თუმცა პროფესიული სასწავლებელი თითქმის ყველა რეგიონში ფუნქციონირებს, ზოგან – ფილიალებით. ქსელის გაფართოებაზე კვლავაც აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა.

**– რას ითვალისწინებს პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამა, ვინ ახორციელებს და რამდენად ეფექტურია დარგობრივი საბჭოების მუშაობა?**

– პროგრამა ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ფარგლებში ფუნქციონირებს და რეფორმის განხორციელების ერთ-ერთი მთავარი ბირთვია, ისეთ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან მჭიდრო კოორდინაციით, როგორებიცაა: მასწავლებლის პროფესიული განათლების ეროვნული ცენტრი, სადაც ფუნქციონირებს პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარების სახელმწიფო პროგრამა, ინფრასტრუქტურის სააგენტო (მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ნაწილში) და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა.

ეს მრავალკომპონენტიანი პროგრამაა, რომელიც მოდულური პროგრამების შემუშავებისა და დანერგვის მთელ ციკლს მოიცავს – დაწყებული პროფესიული სტანდარტების შემუშავებით დაკუ მეთოდოლოგიითა და დამსაქმებლის ჩართულობით, ეროვნული საგანმანათლებლო სტანდარტის შემუშავებით, საგანმანათლებლო რესურსების შექმნით, საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის იდენტიფიკაციით და დამთავრებული შეფასების სტანდარტების შექმნითა (ფორმალური და არაფორმალური განათლებისთვის) და დანერგვის კომპონენტით.

რაც შეეხება დარგობრივ საბჭოებს. ეს არის დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის მიხედვით შექმნილი თერთმეტი საბჭო. თითოეულ საბჭოში 9 წევრია სოციალური პარტნიორობის პრინციპით შერჩეული: 3 – საგანმანათლებლო სფეროდან, 3 – დასაქმებულთა გაერთიანებიდან (საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირები) და 3 – დამსაქმებელი, შესაბამისი ბიზნესებიდან. ყველანი თანაბარი უფლებებით სარგებლობენ. ჩვენი პროგრამა მხოლოდ ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უწევს საბჭოებს, სხვა მხრივ მთლიანად ავტონომიურია. მათი ძირითადი ფუნქციაა პროფესიული სტანდარტების და ჩარჩო დოკუმენტების განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა, მონაწილეობა კვალიფიკაციების ფორმირებაში. ეს მხოლოდ დასაწყისია. მომავალში მათი ფუნქციების გაფართოება იგეგმება.

უნდა ვაღიარო, რომ თავიდან სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი, რადგან, ტრადიციულად, დამსაქმებელთა ჩართულობა ასეთ საკითხებში საკმაოდ დაბალი იყო, მაგრამ სამუშაო პროცესში სრულიად საწინააღმდეგო დავინახე, ძალიან სერიოზულად მუშაობენ, უნდათ რომ მათ მიერ რეკომენდებული დოკუმენტი – სტანდარტი თუ პროგრამა – მაქსიმალურად სრულყოფილი იყოს და მაქსიმალურად შეუწყოს ხელი დარგის განვითარებას. ამიტომ განსაკუთრებული სკრუპულოზურობით განიხილება თითოეული წინადადება. მახსოვს, ფარმაცევტის ასისტენტის პროფესიული სტანდარტის განხილვა ხუთ საათზე მეტხანს გაგრძელდა. სამაგიეროდ, დოკუმენტების ხარისხი საკმაოდ მაღალია.

**– როგორ მიმდინარეობს მოდულური პროგრამების დანერგვის პროცესი და რითია უპირატესი?**

– მოდულურ პროგრამებს ბევრი უპირატესობა აქვს. მოდულის არსი მდგომარეობს პირისათვის დასრულებული კომპეტენციის მიცემაში, რომელიმე პროფესიის ფარგლებში. მაგალითისთვის ავიღოთ კულინარის პროფესია, რომელიც ბევრ თემას აერთიანებს თავის თავში, თეორიული ნაწილით დაწყებული პრაქტიკული უნარებით დამთავრებული. საგნობრივი პროგრამით სწავლებისას ასე იყო: სანამ მთლიან პროგრამას სრულად არ გაივლიდა სტუდენტი, არანაირი დასრულებული კომპეტენცია არც ერთ ნაწილში არ ჰქონდა. მოდულური სწავლება კი სთავაზობს აირჩიოს მრავალთაგან ერთი, მაგალითად, არა ზოგადად, კულინარია, არამედ ქართული სამზარეულო ან დესერტები, ან წვნიანი კერძები და ა.შ. თითოეული მოდული განიხილება, როგორც ცალკე სასერტიფიკაციო პროგრამა. ასეა სხვა ნებისმიერ პროფესიაშიც. პირს შეუძლია რომელიმე პროფესიიდან აირჩიოს მისთვის საინტერესო მოდული, შეისწავლოს და აიღოს სერტიფიკატი, რაც იმის დასტურია, რომ მას ამ საქმის კეთება შეუძლია, ანუ მთელი საკვალიფიკაციო პროგრამა შედგება მოდულებისგან და თითოეული მოდული ნიშნავს რაღაც დასრულებულ კომპეტენციას. ერთი მხრივ, ეს პროგრამის მოქნილობაზე მიუთითებს, ხოლო, მეორე მხრივ, შეფასების თვალსაზრისითაა უფრო ღირებული. ისიც ფაქტია, რომ რაც მეტ მოდულს გაივლის ადამიანი, მით მეტია მისი დასაქმების შანსი. ყველა მოდულის გავლა მიდის კვალიფიკაციამდე, ანუ დიპლომის აღებამდე, მაგრამ თუ პირს დიპლომი არ აინტერესებს, ირჩევს მოდულს. ხშირია შემთხვევა, როცა დამსაქმებელს კვალიფიკაცია კი არა კონკრეტული უნარის მქონე სპეციალისტი აინტერესებს. მოდულის გავლის შემდეგ პირი იღებს სახელმწიფო სერტიფიკატს – ეს არ არის დიპლომი, მაგრამ იმის დამადასტურებელია, რომ მას ეს კონკრეტული უნარები დადასტურებული აქვს.

სიახლეა ისიც, რომ მსურველებს არჩევით მოდულებს ვთავაზობთ, რაც ზრდის დასაქმების შანსს. თუ ადამიანი თაბაშირ-მუყაოს სპეციალისტია, ვალდებული არაა შედუღების აპარატის გამოყენება იცოდეს, მაგრამ შეუძლია, არჩევითი მოდულის სახით, დამატებით შეისწავლოს შედუღება და საჭიროების შემთხვევაში აღარ დასჭირდება სპეციალისტის მოწვევა, ამას თავადაც შეძლებს.

მიმდინარე სასწავლო წელს 27 საგანმანათლებლო დაწესებულებაში დაიწყო მოდულური პროგრამებით სწავლების დანერგვა; ეს სასწავლებლები ჩვენ არ შეგვირჩევია, უბრალოდ, მივმართეთ ყველას, ავუხსენით, რომ მიმდინარეობს რეფორმა ამ კუთხით და მსურველებს შეუძლიათ ჩაერთონ. დაინტერესება დიდი იყო, 36-მა სასწავლებელმა გამოთქვა სურვილი, როგორც საჯარო, ისე კერძომ, მაგრამ პროგრამის განხორციელებაზე თანხმობა, შესაბამისი ავტორიზაციის საბჭოების გადაწყვეტილებით, 27-მა მიიღო, ისინი თითქმის ქვეყნის ყველა რეგიონში არიან განთავსებულნი.

**– რა მდგომარეობაა საგანმანათლებლო რესურსების მხრივ – სახელმძღვანელოები (ნათარგმნია თუ ქართველი ავტორების), ტექნიკური აღჭურვილობა, თვალსაჩინოება...**

– მოდულური პროგრამები საკმაოდ ძვირადღირებული პროგრამებია. თუ სასწავლებელს სათანადო რესურსი არ გააჩნია (ადრინდელისგან განსხვავებით, როცა სასწავლებელი არსებული რესურსიდან გამომდინარე თავად ქმნიდა პროგრამას), მოდულური პროგრამის განხორციელების უფლებას ვერ მიიღებს. ყველა სასწავლებელი ადასტურებს, რომ რეფორმის ერთ-ერთი პოზიტივი სწორედ მათი ხელახალი აღჭურვა იყო, რაშიც სახელმწიფო ბიუჯეტთან ერთად, დიდია დონორების წვლილი, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის პროფილის სასწავლებლებში, სადაც გაეროს განვითარების პროგრამაა დონორი. წლევანდელი წელი უპრეცედენტო იყო ამ თვალსაზრისით – ავეჯი, კომპიუტერები, ჩარხები, დანადგარები... აი, ასეთ განახლებულ, თანამედროვე სტანდარტებისა და ტექნოლოგიური აღჭურვილობის გარემოში დაიწყეს ჩვენმა სტუდენტებმა სწავლა; სოლიდური თანხებია გამოყოფილი სასწავლო პროცესში საჭირო მასალების შეძენისთვისაც.

რაც შეეხება სახელმძღვანელოებს, პროფესიული სტუდენტები არასოდეს ყოფილან განებივრებული მათთვის სპეციალურად შექმნილი წიგნებით და არც სხვა საგანმანათლებლო რესურსებით. ამ მხრივაც შეიცვალა ვითარება. ყველა იმ 45 პროგრამაში, რომელთა განხორციელებაც წელს დაიწყო, გვაქვს ახალი სახელმძღვანელო. ავტორები არიან ადამიანები, რომლებმაც სტანდარტებზე იმუშავეს, პროგრამები და მოდულები შექმნეს – ერთი სიტყვით, თავიანთი საქმის ნამდვილი პროფესიონალები. ჩემი აზრით, ეს არის ბრწყინვალედ შესრულებული ნამუშევრები, პროფესიულ სტუდენტზე მორგებული და არ იჭრება აკადემიურ სფეროში, აძლევს ცოდნას იმ ნაწილში, რაც კეთებისთვის სჭირდება ადამიანს და არის უხვად ილუსტრირებული, იმიტომ რომ, პროფესიული განათლება კეთების სწავლაა. ისინი ელექტრონულ ფორმატში, თავისუფალი წვდომის რეჟიმშია განთავსებული ვებგვერდზე: www.vet.ge რუბრიკაში – *საგანმანათლებლო რესურსები.* დაინტერესებულ პირებს აქვე შეუძლიათ ნახონ ყველა ის ახალი სტანდარტი, პროგრამა და მოდული, რომელიც უკვე დამტკიცდა და რომელთა განხორციელებაც დაიწყო.

გარდა სტუდენტებისა, პედაგოგებისთვისაც შეიქმნა გზამკვლევები. პრობლემური თემაა და ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. მათ პროფესიულ განვითარებაზე მასწავლებლის სახლი ზრუნავს. ვფიქრობ, დიდი ეფექტის მომტანი იქნება პრაქტიკოსი ადამიანების მოწვევა პედაგოგებად – მოქმედი მღებავის, მშენებლის, მზარეულის და ა.შ. აგრეთვე, ახალი კადრების მოზიდვაც პროფესიულ განათლებაში მასწავლებლებად. ეს თემა კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს.

თვალსაჩინოების მხრივ შეფერხება არ უნდა ჰქონდეთ სასწავლებლებს, რადგან მათ თავიდანვე იციან, რა სახის თვალსაჩინოება სჭირდებათ ამა თუ იმ მოდულის განხორციელებისას, მოდულს ახლავს ეს ჩამონათვალი.

ახლა მთავარია მოდულური პროგრამების დანერგვაზე დაკვირვება და სასწავლებლების კონსულტირება, რომ სწორად განხორციელდეს პროცესი. ჩვენი თანამშრომლები იყვნენ უკვე სასწავლებლებში, წლის ბოლომდე გაგრძელდება მონიტორინგი და კონსულტირება. შემდეგ უკვე პირველ შედეგებზეც შეგვეძლება საუბარი.

ესაუბრა ანა ფირცხალაიშვილი

## მოდულური პროგრამების ნუსხა, რომლებიც 2015 წელს დამტკიცდა

| | პროფესიული კვალიფიკაცია | განათლების დონე |
|---|---|---|
| 1 | მოლარე | მესამე დონე |
| 2 | ბუღალტერ-ტექნიკოსი | მესამე დონე |
| 3 | კონსულტანტ-გამყიდველი | მესამე დონე |
| 4 | ოფისის მენეჯერი | მეოთხე დონე |
| 5 | საბაჟო საქმის სპეციალისტი | მეხუთე დონე |
| 6 | ღონისძიების მენეჯერი | მეხუთე დონე |
| 7 | ბანკის მოლარე-ოპერატორი | მესამე დონე |
| 8 | ბაგა-ბაღის აღმზრდელი-პედაგოგი | მეხუთე დონე |
| 9 | ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი | მესამე დონე |
| 10 | კომპიუტერული ქსელების ადმინისტრატორი | მეხუთე დონე |
| 11 | სისტემების ადმინისტარტორი | მეხუთე დონე |
| 12 | საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი | მესამე დონე |
| 13 | სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი) | მეოთხე დონე |
| 14 | ვებინტერფეისის დეველოპერი | მესამე დონე |
| 15 | ვებინტერფეისის დიზაინერი | მესამე დონე |
| 16 | ვებპროგრამისტი | მეხუთე დონე |
| 17 | პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპერი | მეხუთე დონე |
| 18 | დაბალი ძაბვის ელექტრიკოსი | მესამე დონე |
| 19 | ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკოს-შემკეთებელი | მესამე დონე |
| 20 | კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი | მესამე დონე |
| 21 | თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟე | მესამე დონე |
| 22 | ზეინკალ-სანტექნიკოსი | მესამე დონე |
| 23 | ფილამწყობი | მესამე დონე |
| 24 | სატრანსპორტო ლიგისტიკის ოპერატორი | მეოთხე დონე |
| 25 | სამკერვალო ნაწარმის ხარისხის მართვის სპეციალისტი | მესამე დონე |
| 26 | საკერავი მანქანის ოპერატორი | მესამე დონე |
| 27 | ბეჭდური და ონლაინ გამოცემების ოპერატორი | მეოთხე დონე |
| 28 | ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი | მეოთხე დონე |
| 29 | თექის ოსტატი | მესამე დონე |
| 30 | ღონისძიების დიზაინერი | მეოთხე დონე |
| 31 | ავეჯის კონსტრუქციების სპეციალისტი | მეოთხე დონე |
| 32 | თმის სტილისტი | მესამე დონე |
| 33 | ვიზაჟის სპეციალისტი | მესამე დონე |
| 34 | მასაჟისტ-რეაბილიტატორი | მეხუთე დონე |
| 35 | არქიტექტორ-ტექნიკოსი | მეოთხე დონე |
| 36 | ტუროპერატორი | მეხუთე დონე |
| 37 | საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი | მეხუთე დონე |
| 38 | სასტუმრო საქმის სპეციალისტი | მეოთხე დონე |
| 39 | მიღება-განთავსების სპეციალისტი | მესამე დონე |
| 40 | რესტორნის სერვისმენეჯერი | მეოთხე დონე |
| 41 | ბართენდერი | მესამე დონე |
| 42 | დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი | მეოთხე დონ |
| 43 | ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი | მეხუთე დონე |
| 44 | ბიბლიოთეკარი | მეოთხე დონე |
| 45 | მობილურ-საკომუნიკაციო აპარატების ტექნიკოსი | მესამე დონე |
| 46 | პრაქტიკოსი ექთანი | მეხუთე დონე |
| 47 | ექთნის თანაშემწე | მესამე დონე |
| 48 | ფარმაცევტის თანაშემწე | მეოთხე დონე |
| 49 | სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი | მესამე დონე |
| 50 | ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი | მეოთხე დონე |
| 51 | მეფუტკრე | მესამე დონე |
| 52 | შემფასებელი | მეხუთე დონე |
| 53 | ბუღალტერი | მეხუთე დონე |
| 54 | სარეკლამო აგენტი | მეოთხე დონე |

პროფესიული განვითარება

# უფროსი მასწავლებელი – სავალდებულო და დამატებითი აქტივობები

*პირველი გვერდიდან*

**– უფროს მასწავლებლებს ორი ტიპის აქტივობები აქვთ განსახორციელებელი – ძირითადი-სავალდებულო და დამატებითი, მათგან ნაწილი სტატუსის შენარჩუნებისთვის, ნაწილი კი შემდეგ საფეხურზე გადასასვლელად. განვმარტოთ რომელია სავალდებულო აქტივობები?**

– ძირითადი აქტივობები ყველასთვის სავალდებულო და განსახორციელებელი აქტივობებია. სავალდებულო აქტივობებია **გარე დაკვირვება, შიდა სასკოლო დაკვირვება და პრაქტიკის კვლევა**. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი დააკვირდება და შეაფასებს მასწავლებლის მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს. ამავდროულად, სკოლის მასწავლებლის შეფასების ჯგუფები (ყველა სკოლაში შეიქმნა და მათ ჩვენ სრულად გადავამზადებთ იანვრიდან, როცა უკვე შეფასების სტანდარტიზებული ინსტრუმენტები, რაც პროფესიული საქაღალდის ნაწილია, დამტკიცდება) შეაფასებენ მასწავლებლის საგაკვეთილო საქმიანობას.

როცა ვსაუბრობთ იმაზე, თუ რატომ შეიცვალა სერტიფიცირების პროცესი, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ძირითადად, ტესტით მოწმდებოდა მასწავლებლის თეორიული ცოდნა. აქედან გამომდინარე, მასწავლებელი შეიძლება თეორიულად მასალას კარგად ფლობს, მაგრამ არ ვიცით, როგორ იყენებს პრაქტიკაში აღნიშნულ ცოდნას, კერძოდ, როგორ გაკვეთილს ატარებს. ამიტომ გადავწყვიტეთ ამ კომპონენტის შემოტანა სქემაში – გარე დაკვირვებით და შიდა საგაკვეთილო დაკვირვებით ვნახავთ, რეალურად, მასწავლებელი როგორ გაკვეთილს ატარებს, რამდენად არის მისი გაკვეთილი მოსწავლეებზე ორიენტირებული და როგორ აღწევს მიზნის შესაბამის შედეგებს, ხელს უწყობს თუ არა გაკვეთილი ეროვნული სასწავლო გეგმის შესრულებას.

უფროს მასწავლებელს, განსხვავებით პრაქტიკოსისგან, არჩევანის უფლება აქვს, მან შეიძლება მხოლოდ სტატუსის შესანარჩუნებელი აქტივობები განახორციელოს და უფროს მასწავლებლად დარჩეს მთელი თავისი პრაქტიკის განმავლობაში. ამისთვის მინიმალური კრედიტების დაგროვება დასჭირდება – 13 კრედიტქულა, რომელთაგან 9 სავალდებულო აქტივობების წილია, ხოლო 4 კრედიტქულა დამატებით საქმიანობაში შეიძლება მოიპოვოს; ან გადაწყვიტოს და წინ წავიდეს, რისთვისაც მას 19 კრედიტქულის დაგროვება დაჭირდება – 13 სავალდებულო, 6 დამატებითი. გარე დაკვირვება უფროსმა მასწავლებელმა ერთხელ უნდა გაიაროს და ის 5 კრედიტქულით ფასდება. ეს აქტივობა სავალდებულოა როგორც სტატუსის შესანარჩუნებლად, ისე მის გასაუმჯობესებლად, ანუ შემდეგ საფეხურზე გადასასვლელად.

იმისათვის, რომ უფროსმა მასწავლებელმა სტატუსი შეინარჩუნოს, საკმარისია, სკოლის დაკვირვების ჯგუფი ორჯერ დააკვირდეს მის გაკვეთილს. თუ წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოპოვების სურვილი აქვს, მაშინ ამ პროცესის გავლა მესამედაც მოუწევს. თითოეული შიდა დაკვირვება 2 კრედიტქულით ფასდება. როგორც აღვნიშნეთ, მას სკოლაში შექმნილი შეფასების ჯგუფი აკვირდება. შეფასების ჯგუფს ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორი, ჯგუფში აუცილებლად შედის ფასილიტატორი, რომელიც სკოლებმა თავად აირჩიეს, ასევე არის კათედრის წარმომადგენელი, მეოთხე წევრი შესაძლებელია, იყოს სასწავლო ნაწილი ან დირექტორის მოადგილე, თუკი ის სკოლას ჰყავს. სწორედ ეს ჯგუფი ესწრება მასწავლებელს გაკვეთილზე, მას აქვს უნიფიცირებული სტანდარტიზებული შეფასების ინსტრუმენტები. საგაკვეთილო დაკვირვებისთვის შეფასების ინსტრუმენტს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი შეიმუშავებს. მასწავლებელი შეფასების ჯგუფისგან იღებს უკუკავშირს და განმავითარებელ შეფასებას, ანუ გაკვეთილზე დასწრება არ არის ორიენტირებული მხოლოდ მასწავლებლის შეფასებაზე, რომ მას დაუსვა დიაგნოზი – შეუძლია თუ არა კარგი გაკვეთილის ჩატარება, არამედ ორიენტირებულია იმაზე, რომ მასწავლებელი განვითარდეს. განმავითარებელი შეფასებას ფასილიტატორი იძლევა (რა თქმა უნდა, ფასილიტატორებს ჩვენ გადავამზადებთ. მათი გადამზადების პირველი ეტაპი 15 დეკემბერს დასრულდება). თუ გაკვეთილი ხარვეზიანია და მასწავლებელმა ვერ მოიპოვა სათანადო კრედიტქულები, მას ეძლევა საშუალება, ერთი თვის განმავლობაში, ხელახლა მოიწვიოს შეფასების ჯგუფი და გაუმჯობესებული გაკვეთილი აჩვენოს.

რამდენად ობიექტურად ფასდება გაკვეთილი? ამისთვის სქემაში რამდენიმე დამცავი მექანიზმია ჩადებული. პირველი – უნდა იყოს კორელაცია შიდა და გარე დაკვირვების შეფასებებს შორის. შეფასებები, სულ მცირე, ერთმანეთს აცდენილი არ უნდა იყოს. მასწავლებელს აქვს უფლება, რამდენიმეჯერ ჩაატაროს გაკვეთილი, ჩაწეროს და შემდეგ შეარჩიოს რომელი გაგზავნოს გარე დაკვირვებისთვის. ესეც მისი ერთგვარი დაცვის მექანიზმია.

მეორე – ობიექტურობისთვის მნიშვნელოვანია ისიც, რომ შიდა შეფასებისას მასწავლებელს არ აფასებს ჯგუფი, რომელსაც არ ენდობა. როგორც უკვე გითხარით, მასწავლებლებს ჰქონდათ შესაძლებლობა, თვითონ აერჩიათ შეფასების ჯგუფის წევრები – მაგალითად, კათედრის წარმომადგენელი და ფასილიტატორი. ეს ადამიანები ფლობენ იმ კომპეტენციებს, ასევე გამოირჩევიან იმ პიროვნული თვისებებით, რომელთა გამოც მასწავლებლებმა მათ ნდობა გამოუცხადეს. ამდენად, შეფასების ჯგუფი დაკომპლექტებულია ადამიანებისგან, რომლებიც მასწავლებლებში აღიარებული არიან თავიანთი კვალიფიკაციისა და კომპეტენციების გამო, ამავდროულად, მათ ენდობა კონკრეტული მასწავლებელი.

და მესამე – ობიექტურობის დამცველი მექანიზმია შეფასების სტანდარტიზებული ინსტრუმენტებით შეფასება, რომელიც იძლევა იმის გარანტიას, რომ არ მოხდეს მასწავლებლის მიერ ჩატარებული გაკვეთილის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია.

**პრაქტიკის კვლევა** მესამე სავალდებულო აქტივობაა. თუკი უფროს მასწავლებელს წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოპოვება სურს, მას აუცილებლად მოუწევს პრაქტიკის კვლევის განხორციელება. მოგეხსენებათ, რომ წამყვანი მასწავლებლის სტანდარტში აღწერილია ისეთი კომპონენტები, რომელიც კვლევის გარკვეულ უნარებს მოითხოვს. ამიტომ მასწავლებელმა უნდა ჩაატაროს პრაქტიკის კვლევა.

განვმარტავ, რა არის პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა და რატომ შემოვიტანეთ ის სავალდებულო აქტივობად. მოგეხსენებათ, ხშირ შემთხვევაში, მასწავლებელს პრობლემის მოგვარებაში ფასილიტატორი ეხმარება. შეიძლება პედაგოგიური კოლექტივიც დაეხმაროს, ასევე შესაძლოა პროფესიული განვითარების სხვადასხვა აქტივობებს დაესწროს, მაგრამ არის ვითარება, რომელიც სხვაგვარ რეაგირებას საჭიროებს. შესაბამისად, მასწავლებელს უნდა გააჩნდეს კომპონენტები, რომ საკუთარი პრაქტიკის საჭიროებიდან გამომდინარე, გამოიკვლიოს რა პრობლემებია სკოლაში, შეიმუშაოს რეკომენდაციები. სწორედ ამ მიზანს ემსახურება პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა, ანუ ერთ-ერთი სავალდებულო აქტივობა წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად. როგორც გითხარით, უფროს მასწავლებელს სტატუსის შესანარჩუნებლად პრაქტიკის კვლევის ჩატარება არ დასჭირდება.

რადგანაც ეს სიახლეა, არაერთი აქტივობა გვაქვს დაგეგმილი იმისათვის, რომ მასწავლებლებს დავეხმაროთ კვლევის უნარების გამომუშავებაში. მაგალითისთვის გეტყვით, რომ გზამკვლევის მეორე ნაწილის ერთ-ერთი თავი სწორედ პრაქტიკის კვლევას მიეძღვნება. ცენტრში მათთვის ტრენინგები ჩატარდება, რაც შესაძლებლობას მისცემთ, მოემზადონ და გამოიმუშაონ საჭირო უნარები. ტრენინგებისა და ლიტერატურის გარდა, ამ მიმართულებით მუშაობენ უნივერსიტეტებიც. მაგალითად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან 40-მა სკოლამ გააფორმა მემორანდუმი, რომლის თანახმადაც ისინი მასწავლებლებს კვლევის კომპონენტის განხორციელებაში დაეხმარებიან. შედეგად, ეს სკოლები შეძლებენ, ხარისხიანად განახორციელონ პრაქტიკის კვლევა. უნივერსიტეტის მხრიდან, ეს პედაგოგების ხელშეწყობაა, რომ კვლევები საკუთარ პრაქტიკასა და საჭიროებებზე დაყრდნობით ჩაატარონ. როგორც უკვე გითხარით, ეს სავალდებულო აქტივობაა და მასში პედაგოგი 2 კრედიტქულას მოიპოვებს.

**– უფროსი მასწავლებლისთვის, ისე როგორც დანარჩენი კატეგორიის მასწავლებლებისთვის, სავალდებულოა თვითშეფასების კითხვარის შევსება, რომელიც არც ერთი კრედიტქულით არ ფასდება. რაში დაეხმარება თვითშეფასების კითხვარის შევსება პედაგოგებს?**

– მართალია, თვითშეფასების კითხვარის შევსება კრედიტქულებით არ ფასდება, მაგრამ სქემის მიხედვით, სავალდებულო აქტივობაა. კითხვარის შევსება მასწავლებლებს დაწყებული აქვთ, გადამზადდნენ ფასილიტატორები, რომლებიც პედაგოგებს დაეხმარებიან კითხვარის შევსებაში – თუ რომელიმე პუნქტი მათთვის გაუგებარია, ფასილიტატორები განუმარტავენ. დეკემბრის ბოლომდე აქვთ დრო, რომ დაასრულონ თვითშეფასების კითხვარის შევსება.

პედაგოგისთვის ეს მართლაც კარგი საშუალებაა, რომ გააანალიზოს საკუთარი პრაქტიკა. რაც მნიშვნელოვანია, მასწავლებელს არავინ აფასებს, არ ამოწმებს. ეს მხოლოდ საკუთარ პრაქტიკაზე რეფლექსიაა – რა ორიენტირები დაისახოს მომავლისთვის. თვითშეფასების კითხვარი მასწავლებლებს შიდა და გარე დაკვირვების წარმატებით გავლაში დაეხმარება. თუ ის რეალურად შეაფასებს საკუთარ შესაძლებლობებს, ხარვეზებსაც აღმოაჩენს და სასწავლო პრაქტიკის გაუმჯობესების გზასაც იპოვის. ეს კიდევ ერთი სავალდებულო აქტივობაა, რომელიც ქულებით არ ფასდება.

**– სავალდებულო აქტივობების გარდა, სქემის მიხედვით, უფროს მასწავლებელს, პრაქტიკოსი მასწავლებლისგან განსხვავებით, თუ ის წინსვლაზე ფიქრობს, განსახორციელებელი აქვს დამატებითი აქტივობები. თუმცა, თუკი პრაქტიკოსი მასწავლებელი მოისურვებს დამატებითი აქტივობების განხორციელებას, მასაც შეუძლია დააგროვოს კრედიტქულები, რომელიც შეენახება და დაეხმარება შემდგომ საფეხურზე გადასვლაში. რა დამატებითი აქტივობები აქვს უფროს მასწავლებელს განსახორციელებელი?**

– დამატებითი აქტივობები სხვადასხვა ტიპისაა, შესაბამისად, სხვადასხვა კრედიტქულებით ფასდება. მათ შორისაა უკვე დამკვიდრებული და ცნობილი აქტივობა – **ტრენინგი**. თუკი მასწავლებელი ტრენინგებს დაესწრება, მას ეს საათები კრედიტქულებში აესახება. ეს შეიძლება იყოს ცენტრის მიერ ორგანიზებული ან აკრედიტებული ტრენინგები. ვმუშაობთ ხარისხის განვითარების ცენტრთან, რომ აკრედიტაციის დებულებაში შევიტანოთ ცვლილებები, რათა პროფესიული განვითარების პროგრამებმა შეძლონ აკრედიტაციის გავლა. აკრედიტებული ტრენინგ-პროგრამის გავლა მასწავლებლებს ისევე შეუფასდებათ კრედიტქულებით, როგორც ცენტრში გავლილი ტრენინგები. თუმცა, უმთავრესია, ვიცოდეთ, როგორ გამოიყენებს მასწავლებელი ტრენინგზე მოსმენილს პრაქტიკაში და ტრენინგი უნდა აკმაყოფილებდეს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებს. ამისთვის, ჩვენ შევცვალეთ ტრენინგის შეფასების ფორმები. თუმცა მთავარია, რომ მასწავლებელმა მოახდინოს შეძენილი უნარების გადატანა/ტრანსფერი – საკლასო ოთახში. შემდეგ შესრულებულ სამუშაოს ტრენერს გაუგზავნის, ანუ ტრენინგი დასრულებულად არ ჩაითვლება და მასწავლებელს კრედიტქულა არ მიენიჭება, ვიდრე არ შეფასდება შეძლო თუ არა მოსმენილი უნარების საკლასო ოთახში გადატანა. შედეგად, გვექნება პედაგოგების პრაქტიკის გაუმჯობესება და გამრავალფეროვნება. ევროპული აკრედიტაციის სისტემიდან გამომდინარე, 25 საათი 1 კრედიტის ტოლია. შესაბამისად, მასწავლებლებს ამის მიხედვით მიენიჭებათ კრედიტქულები.

მეორე დამატებითი აქტივობაა **სტუდენტის ან მასწავლებლის კონსულტირება**. თუ მასწავლებელი კონსულტაციას, ფასილიტაციას ან დახმარებას უწევს სტუდენტს ან დამწყებ მასწავლებელს, რადგან ეს დამატებითი საქმიანობაა, ის კრედიტქულებს მიიღებს. დასწრება, განხილვა და გაკვეთილის ერთობლივად დაგეგმვა საკმაოდ შრომატევადი საქმიანობაა და როგორც გითხარით, ამ აქტივობით მასწავლებელი შეძლებს კრედიტქულების დაგროვებას.

შემდგომი აქტივობა, რომელიც მასწავლებელს კრედიტქულებით შეუფასდება, **კონფერენციებზე მოხსენების წარდგენაა**. კონფერენციებისთვის კომისია სპეციალურად არჩევს პედაგოგის ნაშრომებს. საკმაოდ ბევრი განაცხადი შემოდის მასზე მოსახვედრად, დიდი კონკურენციაა. იქ გამოსვლით, ერთგვარად, ფასდება მასწავლებლის პრაქტიკა და გაწეულ შრომაში კრედიტქულები ენიჭება. არ არის აუცილებელი კონფერენციები მხოლოდ ჩვენი ცენტრის მიერ იყოს ორგანიზებული, პედაგოგებისთვის კონფერენციებს მაგალითად, უნივერსიტეტებიც აწყობენ.

მასწავლებლებს კრედიტქულებით უფასდებათ **შეფასების ჯგუფის წევრობაც.** შეფასების ჯგუფის წევრს ძალიან ბევრი სხვადასხვა ტიპის საპასუხისმგებლო საქმიანობის შესრულება უწევს სკოლაში. შესაბამისად, თუ ის იქნება შეფასების ჯგუფიდან ფასილიტატორი (რომლის პასუხისმგებლობა ბევრად მაღალია), ეხმარება მასწავლებელს, კონსულტირებას უწევს სხვადასხვა მიმართულებით, წელიწადში 1 კრედიტქულას მიიღებს. ხოლო ჯგუფის სხვა წევრები 3 წლის მანძილზე 1 კრედიტქულას.

თუ **მასწავლებელი სტაჟირებას გადის**, ეს აქტივობაც 1 კრედიტქულით ფასდება. განსაკუთრებით უცხო ენის მასწავლებლები გამოდიან პრივილეგირებულ მდგომარეობაში, რადგან სტაჟირება უცხო ენის მასწავლებლებისთვის ბევრად უფრო ხშირად და სხვადასხვა ინსტიტუციების მიერ ტარდება. თუმცა, სტაჟირების გავლა შესაძლებელია სხვა მიმართულებითაც. ყველა აქტივობა, რაც მასწავლებლებს კომპეტენციების გაზრდაში ეხმარება, უფასდება და კრედიტებს იღებენ.

ერთ-ერთი დამატებითი აქტივობაა **სასწავლო რესურსების შექმნა**. სასწავლო რესურსებში იგულისხმება პუბლიკაციები, სხვადასხვა მეთოდოლოგიაზე გამოქვეყნებული წერილები. მაგ., უფროს მასწავლებელს აქვს სხვა კომპეტენციები – დაგროვილი გამოცდილება, რომელიც შეიძლება კოლეგებს გაუზიაროს – რას აკეთებს, როგორ აკეთებს, რა გამოსდის კარგად, რა პრობლემებს ხედავს, როგორ ასწორებს და ა.შ. მასწავლებელს ამ ტიპის სტატიების გამოქვეყნება კრედიტქულებად ჩაეთვლება. ამავდროულად, ჩვენი მასწავლებლები, ხშირ შემთხვევაში, სასწავლო რესურსების მომზადებით არიან დაკავებული, მაგალითად, ისტ-ის მასწავლებლები ძალიან კარგ სასწავლო რესურსებს ამზადებენ და იყენებენ საგაკვეთილო პროცესში. რა თქმა უნდა, მასწავლებელს ეს დაუფასდება. თუკი რესურსი ერთჯერადი არ არის და რისი გამოყენება სხვა მასწავლებელსაც შეუძლია – ასეთი რესურსის მომზადება კრედიტქულით შეფასდება. ეს ერთგვარი სტიმულია, რომ მასწავლებლებმა შემოქმედებითი უნარები მეტად განივითარონ და არ ელოდონ, სახელმწიფოს მიერ მომზადებულ და შეთავაზებულ რესურსებს. სასწავლო რესურსის შექმნა 1 კრედიტქულაა, სტატიის გამოქვეყნება – 1 კრედიტქულა, მეთოდური პუბლიკაცია – 2 კრედიტქულა, ხოლო გრიფირებული სახელმძღვანელოს შექმნა – 4 კრედიტქულით ფასდება.

**ტრენინგ-მოდულების შექმნაში**, თუკი მასწავლებლები არიან ჩართულნი ეს აქტივობა მათ 2 კრედიტქულას მოუტანს.

სქემით გათვალისწინებული კიდევ ერთი პუნქტი, სხვადასხვა პროექტებისა და პროგრამების აღიარებაა, რომელშიც მასწავლებლები არიან ჩართული. როგორ მოხდება ამ პროგრამის გამორჩევა და რომელი პროგრამა რამდენი კრედიტით შეფასდება, ეს მინისტრის ბრძანებით განისაზღვრება, რომელიც ახლო მომავალში გამოიცემა. ასეთი პროგრამების სპექტრი ძალიან დიდია. კრედიტების რაოდენობა იმის მიხედვით განისაზღვრება, თუ რა დატვირთვა აქვს მასწავლებელს თითოეული პროგრამის მიხედვით – დაწყებული 1 კრედიტიდან, დამთავრებული 6 კრედიტამდე. დაბოლოს, დამატებით აქტივობებს „ძველი სქემით“ დავასრულებ, ძველი სქემა იძლევა იმის საშუალებას, რომ მასწავლებლებმა დამატებით აქტივობებში მოიპოვონ კრედიტები. როგორც გითხარით მიმდინარეობს ამ აქტივობების მიხედვით კრედიტქულების დათვლა.

დამატებითი აქტივობები უფროს მასწავლებელს წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოპოვებაში დაეხმარება. მაგრამ, ამავდროულად, დამატებითი აქტივობები არ არის მხოლოდ კრედიტების დასაგროვებლად, ის აჩვენებს, რომ მასწავლებელი თვითგანვითარებაზე – პროფესიულ განვითარებაზე ზრუნავს და, შესაბამისად, ის მზარდი მასწავლებელია. ევროპის, ნებისმიერ ქვეყანაში, თანამედროვე განვითარებულ მსოფლიოში, საუბარია უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე, არ შეიძლება ადამიანმა ერთხელ აიღოს დიპლომი და იქ დაამთავროს საკუთარ განვითარებაზე მუშაობა, ეს მუდმივი და უწყვეტი პროცესია.

**– კიდევ ერთხელ რომ დავკონკრეტდეთ, რამდენი კრედიტქულის დაგროვება სჭირდება უფროს მასწავლებელს სტატუსის შესანარჩუნებლად და რამდენი – წამყვანი მასწავლებლის პოზიციაზე გადასასვლელად?**

## პროფესიული განვითარება

– უფროსმა მასწავლებელმა, 4 წლის განმავლობაში, უნდა დააგროვოს 19 კრედიტქულა იმისათვის, რომ გადავიდეს წამყვანი მასწავლებლის საფეხურზე. აქედან, სავალდებულო აქტივობებით – 13 და დამატებითი აქტივობით – 6 კრედიტქულა.

ძირითადი აქტივობები – შიდა დაკვირვება, გარე დაკვირვება და პრაქტიკული კვლევა. სტატუსის შესანარჩუნებლად უნდა დააგროვოს ჯამურად 13 ქულა, აქედან სავალდებულო ნაწილში 9 კრედიტქულაა, დამატებითი აქტივობებით – 4.

**– რა ხდება იმ შემთხვევაში თუ მასწავლებელი განსაზღვრულ ვადაში ვერ დააგროვებს უფროსი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებელ 13 კრედიტქულას?**

– ჩამოთვლილი აქტივობები არც ისე რთული შესასრულებელია, მაგრამ თუ მასწავლებელი მაინც ვერ ახერხებს ამას, კიდევ ერთ შანსს ვაძლევთ – ვუმატებთ ერთ წელიწადს, რომელიც საპილოტე წლის დანამატია და თუ 4+1 წელიწადშიც ვერ შეძლებს საკმარისი კრედიტების მოგროვებას და სტატუსის შენარჩუნებას, მაშინ კიდევ ერთ წელს ვუმატებთ, რომ ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა შეიმუშაოს და კრედიტები მოაგროვოს. თუ ამასაც ვერ შეასრულებს, მაშინ მის ადგილზე ვაკანსია ცხადდება. რა თქმა უნდა, მასწავლებელს უნდა შეექმნას ისეთი გარემო, რომელშიც ის პროფესიულად განვითარდება და ღირსეულ ანაზღაურებასაც მიიღებს, მაგრამ ჩვენ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება გვაქვს და, პირველ რიგში, მოსწავლეების უფლებაზე უნდა ვიფიქროთ.

**– დღესდღეობით, რომელი აქტივობის განხორციელება შეუძლია უფროს მასწავლებელს?**

– ნებისმიერი დამატებითი აქტივობების – კონფერენციებში მონაწილეობა (ახლახან ჩავატერეთ ეროვნული და ისტ-ის კონფერენციები), ტრენინგებზე დასწრება, რომელიც მუდმივად ტარდება ჩვენს ცენტრში. ასევე შეუძლია წინასწარ იმუშაოს კომპეტენციების გაზრდაზე, მაგალითად, პრაქტიკის კვლევის მოსამზადებლად. ანუ შეუძლია, ნებისმიერი დამატებითი აქტივობის განხორციელება და ყველა იმ პროგრამაში ჩართვა, რომელიც კრედიტებს მოუტანს. ძირითადი აქტივობიდან კი, ჯერჯერობით, მხოლოდ პრაქტიკული კვლევის განხორციელებაა შესაძლებელი – დეკემბრის ბოლოს დამტკიცდება პროფესიული საქაღალდის სტანდარტიზებული ინსტრუმენტები, რაც მასწავლებლებს უკეთეს ორიენტირს მისცემს კრედიტქულების დაგროვებაში, ამასთან ჩვენ სქემის გზამკვლევის მეორე ნაწილზე ვმუშაობთ, ისიც ყველა მასწავლებლისთვის ხელმისაწვდომი იქნება და მათ პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს.

**– მასწავლებლობის მსურველები როგორ მივლენ უფროსი მასწავლებლის პოზიციაზე?**

– პროფესიაში შესვლა გართულებულია, ანუ ნებისმიერი კვალიფიკაციის მქონე ადამიანს არ შეუძლია, გახდეს მასწავლებელი. არსებობს ეროვნული სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც მასწავლებლები სკოლაში ასწავლიან. ჩვენ შევიმუშავეთ კვალიფიკაციების შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. ეს ბრძანება ადამიანებს შესაძლებლობას აძლევს განსაზღვრონ, რა მიმართულებით შეუძლიათ სკოლაში მუშაობა. გარდა ამისა, ვიდრე სკოლაში შევა, მას საგნის გამოცდის ჩაბარება მოუწევს, ანუ სკოლაში მისვლამდე საგნის კომპეტენცია უკვე დადასტურებული უნდა ჰქონდეს. ასევე, თუ მასწავლებლობის მსურველს კვალიფიკაციით აქვს მასწავლებლობის უფლება ან აქვს მაინორი პედაგოგიკაში – მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამა გავლილი, პროფესიაში რომ შევიდეს, მხოლოდ საგნის კომპეტენციის დადასტურება მოუწევს გამოცდის გზით. მაინორის პროგრამა სტუდენტმა პირველი კურსის შემდეგ, ნებისმიერ კურსზე შეიძლება აირჩიოს. იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებლობის მსურველ ადამიანს საგნის გამოცდა ჩაბარებული აქვს, მაგრამ არ აქვს პედაგოგის კვალიფიკაცია, მას სახელმწიფო დაუფინანსებს მასწავლებლის მოსამზადებელ ერთწლიან პროგრამას (60-კრედიტიან პროგრამას). 60-კრედიტიან პროგრამაზე აკრედიტაცია გამოცხადდება და როგორც გითხარით, დაფინანსებას სახელმწიფო უზრუნველყოფს. თუმცა, რასაკვირველია, სახელმწიფო წინასწარ განსაზღვრავს კვოტას, რა მიმართულებით რამდენ ადამიანს დააფინანსებს. თუკი ვინმე ამ კვოტის მიღმა დამოუკიდებლად გადაწყვეტს პროგრამის გავლას, რა თქმა უნდა, მას პროგრამის საფასურის გადახდა თავად მოუწევს.

ესაუბრა ლალი ჯელაძე

## გამოცდები — 2016

# ელექტრონულ ფორმატთან დაკავშირებული ძირითადი ცვლილებები

### გვესაუბრება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის გეოგრაფიის ჯგუფის ხელმძღვანელი დავით გოგელიძე




მაქსიმალურად ვეცადეთ, ჩვენი ტესტირება ელექტრონულ ფორმატზე მოგვერგო. ცვლილება იქნება ერთადერთი – აბიტურიენტები ტესტის ბუკლეტს მიიღებენ ელექტრონულად, ხოლო პასუხების ფურცელი კვლავინდებურად დარჩება იგივე, სადაც მათ სწორი პასუხები უნდა გადაიტანონ, ასევე ექნებათ A3 ფორმატის შავი ფურცლები, სადაც შეუძლიათ იმუშაონ და შემდეგ გადაიტანონ პასუხების ფურცელზე. დაურიგდებათ, ტრადიციულად, საქართველოს და მსოფლიოს ფიზიკური რუკები. ბავშვებისთვის მეტი კომფორტის შესაქმნელად, კიდევ ერთი დავალებისთვის – ტოპოგრაფიული რუკის ანალიზი, ასევე ქაღალდის სახით მიიღებენ ტოპოგრაფიულ რუკებს თავისი ლეგენდით, საშუალება ექნებათ ქაღალდზე იმუშაონ და ისე უპასუხონ ტოპოგრაფიული დავალების კითხვებს. ეს აბიტურიენტებს გაუადვილებს ამ რუკებთან დაკავშირებული დავალებების შესრულებას.

სხვა ყველა ტიპის დავალება დარჩა უცვლელი. თითოეული დავალება ცალკე გვერდზე იქნება განთავსებული და აბიტურიენტებს, ორი ღილაკის – მარცხენა და მარჯვენა – საშუალებით, შეუძლიათ ან შემდეგ გვერდზე გადავიდნენ, ან დაუბრუნდნენ წინა გვერდს. ეს არის ელექტრონულ ფორმატთან დაკავშირებული ძირითადი ცვლილება.

დროსთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ 2015 წლამდე გეოგრაფიის ტესტი 70-ქულიანი იყო, წელს გახდა 60-ქულიანი, 2016 წელსაც 60-ქულიანი იქნება. 2015 წლიდან ქულების რაოდენობაც შემცირდა და შესაბამისად, დროც – ორსაათნახევრამდე (იყო 3-საათიანი). ჩვენ ვგეგმავთ საცდელ ტესტირებებს, გამოვცდით ელექტრონულ ფორმატს და საჭიროების შემთხვევაში (თუ ბავშვებს გაუჭირდებათ ან დროში ვერ ჩაეტევიან), მოხდება სამუშაო დროის კორექტირება – გაიზრდება, ამ შემთხვევაშიც ქულა კვლავინდებურად 60 დარჩება. ამას ყველაფერს საცდელი ტესტირება გვიჩვენებს. შარშან შემცირდა ე.წ. დახურულბოლოიანი დავალებები და ფიზიკური რუკის ანალიზის დავალება, რომელიც 10-ქულიანი იყო, გახდა 5-ქულიანი. ეს ყველაფერი ასევე დარჩება და, როგორც გითხარით, ტესტი 2016 წელსაც 60-ქულიანი იქნება, როგორც წელს ზაფხულში იყო.

ტესტის სტრუქტურაც იგივე რჩება, უბრალოდ, შევეცადეთ, ელექტრონულ ფორმატზე მოგვერგო – ყველა დავალება განთავსებული იქნება ერთ გვერდზე და აბიტურიენტს, მხოლოდ ორი ღილაკის დახმარებით, შეუძლია იმუშაოს ტესტზე – გადავიდეს შემდეგ გვერდზე ან დაუბრუნდეს წინას.

რაც შეეხება ღია დავალებებს, სადაც ტექსტები და დიაგრამებია მოცემული, ამ ტიპის დავალება განთავსებული იქნება ერთ გვერდზე, ხოლო კითხვები – მეორე გვერდზე. ფურცელზეც ასე იყო, პრინციპულად არაფერი იცვლება, უბრალოდ, გადაფურცვლის ნაცვლად, ეკრანზე ღილაკზე დაჭერა მოუწევთ. მგონია, რომ ეს აბიტურიენტებს არ უნდა გაუჭირდეთ, თანამედროვე ახალგაზრდებს ყოველდღიური შეხება აქვთ კომპიუტერულ ტექნიკასთან და ეს იმდენად მარტივი პროცედურაა, რომ არა მგონია, დროის დამატება გახდეს საჭირო. დაველოდოთ საცდელ ტესტირებას და იქ გამოჩნდება ყველაფერი.

არჩევით საგნებში, 2015 წლის ზაფხულშიც, კვლავინდებურად, გეოგრაფია ყველაზე მეტმა აბიტურიენტმა აირჩია. რაც შეეხება შედეგებს, ოდნავ გაუარესდა, ზღვარი უფრო მეტმა ადამიანმა ვერ გადალახა, ვიდრე 2014 წელს. ეს განპირობებული იყო იმით, რომ გაიზარდა ე.წ. ღია დავალებების წილი, სადაც აბიტურიენტებს მოეთხოვებათ არგუმენტირებული მსჯელობა და საკუთარი აზრის დასაბუთება. წლების განმავლობაში, აბიტურიენტებს ამ ტიპის დავალებების დაძლევა უჭირთ. 2016 წელს დავალებებს შორის იგივე ბალანსი იქნება, რაც 2015 წელს – დახურული დავალებების წილი შემცირდა, ანალიზის დავალებების წილი გაიზარდა. ამიტომ ვურჩევდი აბიტურიენტებს, ყურადღება გაამახვილონ გეოგრაფიული ტექსტის ანალიზზე, დიაგრამებისა და ცხრილების კითხვაზე და ისეთ დავალებებზე, სადაც საკუთარი აზრის გამოთქმა და არგუმენტირებულად ჩამოყალიბებაა საჭირო, რაც, ტრადიციულად, უჭირთ ხოლმე გეოგრაფიის ტესტირების დროს.

რაც შეეხება შინაარსობრივ ნაწილს, ის ეროვნულ სასწავლო გეგმას ეყრდნობა და არასდროს სცილდებოდა მას. აბიტურიენტებს შეუძლიათ მოემზადონ VI-XI კლასების, სამინისტროს მიერ გრიფირებული სახელმძღვანელოებით. დავალებების რაოდენობის ზუსტად განსაზღვრა წინასწარ გამიჭირდება. უბრალოდ, შემიძლია გითხრათ, რომ დავალების ტიპები იქნება ზუსტად იგივე, რაც 2015 წელს იყო.

მას შემდეგ, რაც ერთიანი ეროვნული გამოცდა დაინერგა გეოგრაფიაში, სამწუხაროდ, ღია ტიპის დავალებები აბიტურიენტებს, ტრადიციულად, უჭირთ. მე მგონი, სხვა საგნებშიც მსგავსი ვითარებაა – ზოგადად უჭირთ ანალიზზე ორიენტირებული დავალებების შესრულება. კიდევ გავიმეორებ, მომზადების დროს, აბიტურიენტებს შეუძლიათ გამოიყენონ VI-XI კლასების გრიფირებული სახელმძღვანელოები და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ დავალებებს, რომლებიც მოითხოვს საკუთარი აზრის გამოთქმას, დასაბუთებას, ტექსტის ანალიზს. ეცადონ, ასეთი ტიპის დავალებებს მიაქციონ ყურადღება. ჩვენს საიტზე გვიდევს წინა წლების ტესტები და დააკვირდნენ მსგავს დავალებებს, შეფასების სქემებს და ორიენტირებულები იყვნენ იმაზე, რომ მომავალში კარგი შედეგები ჰქონდეთ.

სამწუხაროდ, გეოგრაფიაში უმაღლესი შეფასება ჯერ არ დაფიქსირებულა, წელსაც ვერავინ მიიღო, როგორც გითხარით, გამოცდის შედეგები, 2014 წელთან შედარებით, ოდნავ გაუარესდა, ზღვარი უფრო მეტმა ადამიანმა ვერ გადალახა. აქედან გამომდინარე, შეიძლება დაიკლოს იმ აბიტურიენტთა რაოდენობამ, ვინც გეოგრაფიას ირჩევს, მაგრამ წინასწარ ამის პროგნოზირება ძალიან ძნელია. ეს დამოკიდებულია იმაზე, უმაღლესი სასწავლებლების რამდენი პროგრამა აირჩევს არჩევით საგნად გეოგრაფიას, ეს ერთ-ერთი ყველაზე მთავარი განმაპირობებელი ფაქტორია ყოველთვის. რაც უფრო მეტი უმაღლესი სასწავლებელი ირჩევს არჩევით საგნად გეოგრაფიას, მით მეტია ხოლმე მსურველი, ჩააბაროს მეოთხე საგნად გეოგრაფია.

გეოგრაფიის გამოცდაზე მოწმდება შემდეგი უნარები: სივრცეში ორიენტირება, ინფორმაციის მოპოვება და ორგანიზება, თვალსაჩინოების გამოყენება, შექმნა და ანალიზი, გეოგრაფიული მოვლენების, პროცესებისა და კანონზომიერების გავრცელების დადგენა. ეს მოთხოვნები ეყრდნობა ეროვნულ სასწავლო გეგმას, სადაც ზუსტადაა გაწერილი უნარები. მოსწავლე, ამ შემთხვევაში აბიტურიენტი, რომელმაც გადაწყვიტა უმაღლესი განათლების მიღება, ამ უნარებს უნდა აკმაყოფილებდეს. შესაბამისად, ჩვენი ტესტიც ამაზეა ორიენტირებული. ვინც გადაწყვეტს გეოგრაფიის ჩაბარებას, კარგად უნდა გაეცნოს ჩვენს პროგრამას, მოთხოვნებს, რომლებიც ტესტთანაა დაკავშირებული და ამის მიხედვით მოემზადოს ჩვენი გამოცდისთვის.

**გამოსაშვებ გამოცდებზე** მნიშვნელოვანი ცვლილებები არ არის. აქ მხოლოდ დახურულბოლოიანი დავალებებია – კითხვა, რომელსაც 4 სავარაუდო პასუხი ახლავს. მოსწავლეები ყურადღებით უნდა გაეცნონ დავალების პირობას, შეარჩიონ სწორი პასუხი და მონიშნონ. მეთერთმეტეკლასელებს მინდა ვურჩიო, მიაქციონ ყურადღება რუკის კითხვის ცოდნასა და რუკის ანალიზის შესწავლას, რაც ძალიან დაეხმარებათ გარკვეული ტიპის დავალებების შესრულებაში.

გამოსაშვებ გამოცდებზე, ტრადიციულად, გეოგრაფია ერთ-ერთი პირველია იმ საგანთა შორის, სადაც ნაკლები ბავშვი იჭრება გამოცდაზე. ამ თვალსაზრისით, ეს გამოცდა უფრო მარტივია, ვიდრე ეროვნული გამოცდები.

მათ, ვინც მეთერთმეტე კლასში ვერ მოახერხებენ გამსვლელი ქულის მიღებას, ვერ გადალახავენ ზღვარს, შეუძლიათ, განმეორებით, გამოცდა მეთორმეტე კლასში ჩააბარონ, ისევე, როგორც წინა წლებში იყო.

**პედაგოგების გამოცდა** წელს ორჯერ ტარდება – იანვარში იგივე ფორმატის იქნება, რაც 2015 წლის ზაფხულში იყო – ქაღალდზე მიიღებენ როგორც ტესტის ბუკლეტს, ასევე პასუხების ფურცელს. დავალებების ტიპებიც პრაქტიკულად იგივე დარჩა. ერთადერთი ცვლილებაა – სადისკუსიო თემასთან დაკავშირებული დავალება შეიცვლება ინფორმაციის ანალიზის დავალებით. მოცემული იქნება პატარ-პატარა ინფორმაციები – ან ილუსტრაცია, ან ცხრილი, ან მოკლე ტექსტი, რომლებზეც მიბმული იქნება კითხვები და პასუხის გაცემა მოუწევთ. ეს ცვლილება იანვრის გამოცდაზე უკვე იქნება – სადისკუსიო თემის დავალების შეცვლა იმან გამოიწვია, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე რთული დავალება იყო, რომლის შესრულებაც უჭირდათ პედაგოგებს. ფსიქომეტრული ანალიზის შედეგად, ჩვენ დავამუშავეთ პარამეტრები და ვამჯობინეთ ეს დავალება შეგვეცვალა, რომ გეოგრაფიის ტესტი უფრო მისაღები გამხდარიყო პედაგოგებისთვის.

რაც შეეხება 2016 წლის ზაფხულის გამოცდას, ელექტრონულ ფორმატზე გადასვლა იგეგმება. აქაც ყველა ტიპის დავალება მოვარგეთ ელექტრონულ ფორმატს და ისევე, როგორც აბიტურიენტებს, პედაგოგებსაც დაურიგდებათ საქართველოს და მსოფლიოს ფიზიკური რუკები; ტოპოგრაფიული რუკის ანალიზთან დაკავშირებული დავალებისთვის – ტოპოგრაფიული რუკები A3 ფორმატის ქაღალდზე, რათა გაუადვილდეთ რუკაზე დავალებების შესრულება.

სისტემატურად ვხვდებით პედაგოგებს. ისინი თავიანთ სურვილებს და სხვადასხვა დავალებებზე მოსაზრებებს გვიზიარებენ. ამ რეკომენდაციების გათვალისწინებით გადავწყვიტეთ სადისკუსიო თემის დავალების მოკლე ინფორმაციის ანალიზით შეცვლა. ეს იქნება 2, 3 ან 4 დავალება, თითოეული 2-3-ქულიანი. სადისკუსიო თემის დავალება 7 ან 8-ქულიანი იყო. ამრიგად, ქულების რაოდენობა შენარჩუნდება, უბრალოდ, უფრო მოკლე დავალებები იქნება, რომლებიც უფრო კონკრეტული საკითხის გაანალიზებას საჭიროებს. რაც შეეხება დროს, პედაგოგებისთვის ელექტრონული ფორმატის ტესტირების შედეგების გათვალისწინებით, თუ პედაგოგებს არ ეყოფათ სამუშაო დრო და აუცილებლობა მოითხოვს, აქაც მოვახდენთ კორექტირებას. გეოგრაფიის გამოცდა პედაგოგებისთვის 5-საათიანია, საცდელი ტესტირება გვიჩვენებს, როგორ მოერგებიან პედაგოგები კომპიუტერულ ტექნიკას. მათ უფრო ნაკლები გამოცდილება აქვთ კომპიუტერთან მუშაობის და შეიძლება საჭირო გახდეს დროის დამატება. სხვა ცვლილება პედაგოგების გამოცდასთან დაკავშირებით არ იგეგმება.

*მომზადდა რადიო იმედის გადაცემის – „გამოცდებიდან გამოცდებამდე“ თეიკო ანჯაფარიძესთან ერთად – მიხედვით*

მოამზადა ლალი თვალაბეიშვილმა

სტუმარი

# გაბედულება ჩემმა საყვარელმა წიგნებმა მომცა

**დღევანდელი ნომრის სტუმარია ასიროლოგი, ლუვენის (ბელგია) კათოლიკური უნივერსიტეტის ცივილიზაციის, ხელოვნებისა და ლიტერატურის ინსტიტუტის აღმოსავლეთმცოდნეობის ცენტრის მკვლევარი, ფილოლოგიის დოქტორი თამარ პატარიძე**



**– თამარ, საუბარი საქართველოდან დავიწყოთ. გარკვეული პერიოდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობდით, როგორ იხსენებთ ამ პერიოდს?**

– ეს პერიოდი ძალიან კარგად მახსენდება. სტუდენტობის პერიოდშივე ვმუშაობდი ძველი ქართული ლიტერატურის კათედრაზე არსებულ ლაბორატორიაში. რთული დრო იყო, ოთხმოცდაათიანების ბოლო და მომდევნო წლებიც, თუმცა, იქ ბევრი კარგი ადამიანი მუშაობდა, კომპეტენტური. არსებობდა ადამიანთა ბირთვი, რომელიც ყველაფრის მიუხედავად თავისი საქმის სიყვარულით შრომობდა და კარგ საქმეს აკეთებდა. ჩვენი ურთიერთობები ყოველთვის თბილი იყო, პროფესიული თვალსაზრისითაც, უნივერსიტეტმა ბევრი რამ მომცა. ეს ყოველთვის მომყვება. სიმართლე გითხრათ, ბელგიაშიც ამჩნევენ, რომ მყარი ფილოლოგიური განათლებით ჩამოვედი, იციან, რომ საქართველოს უნივერსიტეტიდან მომყვება ეს და ამას ყოველთვის მიფასებენ.

დანანებით იმას ვნანობ, რომ მაშინ საქართველოში ინსტიტუციური მხარდაჭერა მკვლევრებისა და სტუდენტებისთვის დიდი არ იყო. ამის გამო, ბევრი დრო დავკარგე, სხვა სიტყვებით რომ ვთქვა, იმავე დროის გამოყენება ევროპულ უნივერსიტეტებში გაცილებით ოპტიმალურად და ეფექტურად შეიძლება. მოგვიანებით, ევროპაში რაიმე კონკურსზე ჩემს კანდიდატურას რომ ვაყენებდი, საქართველოში გამოქვეყნებული შრომებიც კი არ მეთვლებოდა, რადგან ჩვენი უნივერსიტეტების წამყვანი სამეცნიერო ჟურნალებიც კი არ იყო ცნობილი ან აღიარებული. ამანაც გარკვეულად შემაფერხა იმ პერიოდშიც, როცა უკვე ლუვენის უნივერსიტეტში ვმუშაობდი. ასე რომ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან წარმომავლობა ჩემი დიდი ძალაც იყო და გარკვეული სისუსტეც, თუმცა, ეს ყოველთვის ასეა, ყველაფერს ორი მხარე აქვს.

**– შემდეგ საზღვარგარეთ გაემგზავრეთ. როგორ გაგრძელდა თქვენი პროფესიული კარიერა, რით მიიქციეთ ევროპელი სპეციალისტების ყურადღება, როგორ მიგიღოთ ლუვენის უნივერსიტეტმა? თქვენ ამბობთ: *„აქ არსებულ გარემოში არსად საქმის ინტერესებზე მაღლა ურთიერთობები არ დგას, როგორც ეს ჩვენში ხდება“.* რაში გეხმარებათ ქართველობა და რაში გიშლით ხელს?**

– თავიდან ერთი წლით ჩამოვედი, მაშინ არსებობდა „გაღრმავებული სწავლების დიპლომი“ (DEA), რომელიც კონკრეტულ ვიწრო სპეციალობაში შეიძლებოდა აგეღო. აქ სირიულის სწავლა დავიწყე და ჩემმა ლექტორმა, ქალბატონმა ანდრეა შმიდტმა შემომთავაზა, მისი ხელმძღვანელობით, სადოქტოროს გაკეთება. დოქტორანტურის შემდეგ ევროკავშირის პროექტში ვმუშაობდი, ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნების კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე, კოორდინატორად – ლუვენის უნივერსიტეტიდან. ამჟამად ამ უნივერსიტეტის ცენტრში ვარ მკვლევარი. აღმოსავლეთმცოდნეობის ცენტრში, სადაც მთელი ეს დრო გავატარე, კარგად იცნობენ ქართულ კულტურას, თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტთან (ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) მრავალწლიანი თანამშრომლობა აკავშირებთ. ასე რომ, ჩემთვის არავის უკითხავს, საქართველო სადაა ან რამე მოგვიყევი მის შესახებო. ინსტიტუტის მკვლევრები, მათ შორის ისინიც ვინც უშუალოდ ქრისტიანული აღმოსავლეთის ლიტერატურაზე არ მუშაობს, საკმაოდ კარგად იცნობდნენ მას.

უნივერსიტეტმა როგორ მიმიღო? ისე, რომ დღეს შესაძლებელია ასეთი რამ გითხრათ: ლუვენის უნივერსიტეტი ჩემი უნივერსიტეტია. თუ დღეს არის ადგილი, გარემო, სივრცე, რომელიც არის „ჩემი“, ის სწორედ აქ არის. პირველი დღიდანვე, უნივერსიტეტის ყველა რესურსი, რაც მკვლევრისთვისაა განკუთვნილი, მეც გადმომეცა და არავის არასოდეს არ უთქვამს, შენ უცხოელი ხარ და რაიმე არ გეკუთვნისო. თავიდან ეს მიკვირდა კიდეც. ინსტიტუტის პროექტებში მეც ისე ვშრომობ, როგორც სხვა ჩემი კოლეგები და არავისთვის არავითარი პრობლემა არაა და არც ყოფილა ის, რომ ოდესღაც საიდანღაც ჩამოვედი. შარშან, ჩემს ორ თანამშრომელთან ერთად, ალოგრაფიის (ერთ ენაზე არსებული ტექსტი ჩაწერილი რომელიმე სხვა ენის ანბანით) შესახებ წიგნი გამოვეცით. მის შესავალში ვამბობთ, რომ ჩვენ, სამი გამომცემლიდან, ერთი – გერმანელი, მეორე – ჰოლანდიელი და მესამე – ქართველი ვართ, მაგრამ წიგნი ლუვენის (ბელგიის) უნივერსიტეტის სახელით გამოდის და ლუვენის უნივერსიტეტის ნაშრომია. თუ წარმატებული იქნება, დარჩება, როგორც ლუვენის უნივერსიტეტის მონაპოვარი. ამის მაგალითზე ვფიქრობ, რომ სხვადასხვაობა, თუკი მისდამი მიმართული პოლიტიკა ინტეგრაციის მიმართულებით გაქვს წარმართული, სიმდიდრეა და არა საშიში მოვლენა. ჩემგან ამ უნივერსიტეტის გულშემატკივარი, გულწრფელად მოყვარული თანამშრომელი სწორედ იმიტომ დადგა, რომ დისკრიმინაცია არ განმიცდია. თავის მხრივ, უნივერსიტეტიც სარგებლობს ჩემი რესურსით, ისიც მოგებული დარჩება, მის მიერ შექმნილი ჰუმანური გარემოს გამო.

**– გვიამბეთ, ლუვენის უნივერსიტეტზე. როგორც ცნობილია, აქ ბევრი საინტერესო ადამიანი მოღვაწეობდა... მოგვიყევით ლუვენის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის შესახებ, სადაც დაცულია ქართული ლიტერატურა, რომელიც განუწყვეტლივ ივსება. კერძოდ, რა სახის ლიტერატურაზეა საუბარი?**

– ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი 1425 წელს დაარსდა და ამჟამად, როგორც ძირითადად ყველაფერი ბელგიაში, ორ მხარედ არსებობს. მე მის ფრანგულენოვან ნაწილში – ქალაქ ლუვენ-ლა-ნევში ვარ, ფლამანდურენოვანი ნაწილი კი ქალაქ ლუვენშია. საინტერესო მოღვაწეებს რაც შეეხება, დაგეთანხმებით, ბელგიური აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლა ცნობილია თავისი მნიშვნელობით. მისი წარმომადგენლები არიან, მაგალითად, უმნიშვნელოვანესი ქართველოლოგები ჟერარ გარიტი და მიშელ ვან ესბროკი, ასევე ბოლანდისტი პოლ პეეტერსი. ეს ადამიანები ძველი ქართული ლიტერატურის შესახებ უმნიშვნელოვანესი კვლევების ავტორები არიან, მათვე გამოსცეს ევროპაში ძველი ქართული ტექსტების უმნიშვნელოვანესი ნაწილი. ჟერარ გარიტი ლუვენის უნივერსიტეტის პროფესორი იყო, მას უნდა ვუმადლოდეთ სინას მთის ქართული ხელნაწერების კოლექციის სრულად მიკროფილმებად გადაღებას და ამ კოლექციის კატალოგის გამოცემას. ქართული ხელნაწერების ბევრი კატალოგი და აღწერილობა არსებობს, თუმცა, ჩემი აზრით, გარიტის კატალოგი დღესაც მოდელია და საუკეთესოა ამ რეპერტუარში. ლუვენის უნივერსიტეტის პროფესორს – მიშელ ვან ესბროკს მეც მოვესწარი. ამ ინტერვიუსთვის პასუხების გასაცემად დროებით გვერდზე გადავდე მისი მონოგრაფია *„უძველესი ქართული მრავალთავები“*, რომელიც ერთ-ერთი უძლიერესი კვლევა მგონია, რაც ქართულ ლიტერატურაზე გაკეთებულა. მრავალი ათეული წელია, ლუვენის უნივერსიტეტი გამოსცემს სამეცნიერო ჟურნალს Le Muséon, სადაც სისტემატურად იბეჭდება ძველ ქართულ ლიტერატურაში გაკეთებული კვლევები, იბეჭდებოდა გარიტის დროსაც და იბეჭდება ახლაც. ლუვენის უნივერსიტეტივე გამოსცემს კოლექციას CSCO (Corpus Scriptorum Christianorum Orientalum), რომლის ერთ-ერთი ქვესერია – Scriprores Iberici ძველი ქართული ტექსტების კრიტიკულ გამოცემებს ბეჭდავს. ზემოთ ხსენებული პროექტის ფარგლებში, რომელიც საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტსა და ლუვენის უნივერსიტეტს შორის, ჯერ კიდევ, გარიტისა და ელენე მეტრეველის ეპოქაში, ანუ საბჭოთა პერიოდში დაიწყო, გამოიცა გრიგოლ ნაზიანზელის ქართული თარგმანების კრიტიკულად დადგენილი ტექსტები კოლექციაში (Corpus Christianorum). თავისი სამეცნიერო რეპუტაციით, ეს ამ სფეროში არსებული უპირველესი გამოცემებია და მათში ქართული ლიტერატურისთვის სივრცის მიჩენის ტრადიცია მნიშვნელოვნად მიმაჩნია.

რაც შეეხება ბიბლიოთეკას, კვლავინდებურად ჩემს სფეროზე გავამახვილებ ყურადღებას – ის ძალიან მდიდარია. ლუვენის უნივერსიტეტს ლუვენშიც აქვს ბიბლიოთეკა და ლუვენ-ლა-ნევშიც და როგორც ფრანგული, ასევე ფლამანდური მხარე დიდ თანხებს ხარჯავს ბიბლიოთეკის გამდიდრებაში, ახალი გამოცემების შეძენაში. თუ ამას დაუმატებთ ბრიუსელში არსებულ ბოლანდისტების უძველეს და სრულიად უნიკალურ და უმდიდრეს ბიბლიოთეკას, შეუძლებელია აღმოსავლეთმცოდნეობისა და ბიზანტინისტიკის სფეროში რაიმე გამოცემა ბელგიაში ვერ იპოვოთ. ეს იმდენად პატარა ქვეყანაა, რომ ძირითადად არც ღირს შეშფოთებად, თუ რაიმე წიგნი ბიბლიოთეკის თაროზე თქვენი კაბინეტის გვერდით არ დევს, საბიბლიოთეკო ქსელებით ყველაფერი მარტივად ხელმისაწვდომია.

ლუვენის უნივერსიტეტს ქართული წიგნების კოლექცია აქვს. მას, თავის დროზე, ივანე ლოლაშვილის ბიბლიოთეკის შეძენაში ხელნაწერთა ინსტიტუტი დაეხმარა. ამის შემდგომაც ხელნაწერთა ინსტიტუტი განუწყვეტლივ უგზავნიდა ლუვენის ბიბლიოთეკას ახალ გამოცემებს და დღესაც უგზავნის, ასე რომ, ბიბლიოთეკა კვლავაც ივსება. ბიბლიოთეკის მნიშვნელობა სტუდენტისა და მკვლევრისთვის კოლოსალურია. უდაბნოში ვერ იქნები კარგი მკვლევარი და უბიბლიოთეკო უნივერსიტეტი ცოდნის კერა არ არის. თუ მკითხავთ, საქართველოდან რატომ წამოვედი – ძირითადი მიზეზი ეს არის, არ მქონდა წვდომა კარგ ბიბლიოთეკაზე. ახლაც თუ დაბრუნების მეშინია, სწორედ იმიტომ, რომ უბიბლიოთეკოდ არ დავრჩე.

**– როგორ შეადარებთ ქართულ უნივერსიტეტში სწავლების დონეს უცხოეთის, ამ შემთხვევაში, ლუვენის უნივერსიტეტთან? რა ახდენს გავლენას სწავლისა და სწავლების ხარისხზე, როგორია სახელმწიფოს ჩართულობა განათლების სფეროში?**

– სწავლების დონეზე მსჯელობისთვის, ჩემი აზრით, მხოლოდ სტუდენტისა და ლექტორის ინტელექტუალურ პოტენციალზე დაყრდნობა საკმარისი არ არის. ყველა ქვეყანაში არიან გონიერი თუ უგუნური ადამიანები, ეს საგრძნობ განსხვავებას არ ქმნის. სწავლების ხარისხი აგრეთვე ინსტიტუციური რესურსებითაც მიიღწევა – თუნდაც კარგი ბიბლიოთეკით, სტუდენტებისა და მკვლევრების მობილობის უზრუნველყოფით, აგრეთვე საშუალო შემოსავლის მქონე ოჯახებისთვის სწავლის გადასახადის ხელმისაწვდომობით. თქვენს კითხვაზე პასუხს იმით დავიწყებდი, რომ ბელგიაში სწავლის გადასახადი, ოჯახის საშუალო შემოსავალთან შედარებით, თითქმის უმნიშვნელოა. თუ სტუდენტს რაიმე პრობლემა აქვს (გაშორებული მშობლები და ა.შ.), სპეციალური დახმარებებია სახელმწიფოსგან. საშუალო სტატისტიკური ბელგიელისთვის სწავლის გადასახადის დაფარვა, ძირითადად, არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს, ამიტომ, ფორს-მაჟორის გამო, იზოლირებული არავინ რჩება. სტუდენტის განკარგულებაში უნივერსიტეტის ბევრი რესურსია, მათ შორის, უამრავი ტიპის სტაჟირება, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, რაც, ცხადია, სწავლის ხარისხზე კარგად მოქმედებს. ამ მხრივ, საქართველოშიც ნელ-ნელა უმჯობესდება მდგომარეობა, თუმცა სახელმწიფოს ჩართულობა მაინც არასაკმარისი მგონია. განათლების სფერო სახელმწიფოსთვის გაცილებით მეტად პრიორიტული უნდა იყოს. სამწუხაროდ, ეს ვერც ერთმა მთავრობამ ვერ გაიაზრა.

სხვა განსხვავებებიდან იმას აღვნიშნავ, რომ სტუდენტი, რომელიც არ სწავლობს კარგად, აქ ნიშანს ვერაფრით მიიღებს. კრიტერიუმი ძალიან მკაცრია. უმცირესი დადებითი ნიშნის მისაღებადაც, საგნის 80 პროცენტის კარგად მომზადებაა საჭირო. ზუსტად არ ვიცი, გამოსწორდა თუ არა, ამ მხრივ, საქართველოში ვითარება, თუმცა, მე რომ სტუდენტი ვიყავი, ბევრი ლექტორი სამიანს (მაშინდელ უმცირეს დადებით ნიშანს) პირდაპირ „არიგებდა“. შედეგად, ერთმა ჩემმა კურსელმა სახელმწიფო გამოცდაზე იკითხა – „ჩანჩქერი“ სახელი იყო თუ ზმნა... ამ ადამიანს ფილოლოგის დიპლომი აქვს. შეფასების მკაცრი კრიტერიუმი აუცილებელი პირობაა სწავლის მაღალი დონისთვის.

**– ზოგადად, ჰუმანიტარული მეცნიერებები საქართველოში ნაკლებად პოპულარულია. უპირველესად იმიტომ, რომ ფინანსურად შემოსავლიანი არ არის. რა ადგილი უჭირავს ჰუმანიტარულ მეცნიერებებს ევროპაში?**

– აქაც კრიზისია. ისეთი დისციპლინები, სადაც სტუდენტების რაოდენობა დიდი არ არის, უნივერსიტეტისთვის ფინანსურად არამომგებიანი და რეალურად, არაპრიორიტეტულია. ასეთ დისციპლინებში ხვდება, მაგალითად, აღმოსავლეთმცოდნეობის ყველა დარგი. თუ პროფესორები პენსიაზე გადიან, მათი პოსტები უქმდება იმის ნაცვლად, რომ ვინმე ახალი აიყვანონ. ჩვენს უნივერსიტეტში, ბიზანტინისტიკის სფეროში, ერთი ლექტორი გავიდა პენსიაზე და მისი კურსი დღეისათვის მხოლოდ მეცენატისაგან მოპოვებული დაფინანსებით გრძელდება და ისიც დროებით. უნივერსიტეტმა პოსტი ვერ შეინარჩუნა. ეს სავალალო მდგომარეობაა.

**– თამარ, თქვენ სწავლობთ და იკვლევთ აღმოსავლეთის ხალხების ენებს, ისტორიას, კულტურას... რა იქცევს ყველაზე მეტად თქვენს ყურადღებას ამ საკითხებზე მუშაობისას?**

– მე ქრისტიანული ახლო აღმოსავლეთის მკვლევარი ვარ, უფრო მეტად I-X საუკუნეების პერიოდით ვინტერესდები, მიზიდავს: იმდროინდელი მოზაიკა, სხვადასხვა კონფესიის ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის ურთიერთობები, ტექსტების და ლიტერატურული მოტივების მიგრაცია ერთი საზოგადოებიდან მეორეში, კულტურული ურთიერთგავლენები. თავისთავად ეს ძალიან საინტერესო სამყაროა და ჩემთვის უფრო და უფრო ცხადი ხდება ის, რომ დღევანდელი რთული მდგომარეობის გაანალიზება ახლო აღმოსავლეთში, შეუძლებელია ამ წინამძღვრების გათვალისწინების გარეშე. მგონია, რომ კარგი საქმეა დღევანდელი მკითხველებისათვის იმ სამყაროს დანახვე-

## სტუმარი

ბა. იმდროინდელი საზოგადოებების დუღილში ბევრი საინტერესო ელემენტია, რომელიც დღევანდელი კითხვების პასუხადაც გამოდგება.

**– თეოლოგიური სფეროს აქტიური მკვლევარიც ხართ, ამიტომ მინდა გკითხოთ, რა ადგილი უჭირავს როგორც აღმოსავლეთის, ასევე დასავლეთის ხალხების ცხოვრებაში რელიგიას და სად გადის ზღვარი გამოხატვის თავისუფლებასა და რელიგიურ გრძნობებს შორის?**

– ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში რელიგიის გავლენა საზოგადოებაზე გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე, ვთქვათ, ევროპაში. თუმცა, ამ უკანასკნელშიც ვითარება ყველგან ერთგვაროვანი არ არის. ამას თავისი მიზეზი აქვს. ახლო აღმოსავლეთში, ბევრი ჯგუფისთვის, რელიგიაზე დახვევა მათი იდენტობის შენარჩუნების ერთადერთი საშუალებაა ირგვლივ არსებულ მტრულ ან რთულ გარემოში. გამოხატვის თავისუფლებას რაც შეეხება, ჩემი აზრით, ის უნივერსალურია და მათ შორის, რომელიმე რელიგიისთვის მიუღებელი აზრების გამოთქმაც შეიძლება. რელიგია, ჩემი აზრით, ადამიანის გამოგონილი დოქტრინა და ცხოვრების წესია. მას გარკვეული შეხედულებათა სისტემა აქვს და ვერ ვხედავ რაიმე მიზეზს, თუ რატომ არ უნდა შეეძლოს რომელიმე ადამიანს სხვა ადამიანების მოფიქრებული დოქტრინის გაკრიტიკება, თუ ის მას რაიმე ნიშნით არ მოსწონს. მეორე მხარესაც ყოველთვის ექნება საშუალება, გამოხატოს თავისი უარყოფითი პოზიცია მისი დოქტრინის კრიტიკოსებისადმი, ესეც პლურალიზმის ნაწილია. ყველა აზრის წინააღმდეგ შეიძლება აზრის გამოთქმა. საკუთარი აზრის დაცვის მექანიზმიც სწორედ ამაში მდგომარეობს და არა სხვისი აზრის აკრძალვაში. ამას წინათ წავიკითხე, ვიღაცას უთქვამს, რომ რელიგიის ყველაზე დიდი მიღწევა ის კი არ არის, რომ ბევრი ადამიანი დაარწმუნა ღვთის არსებობაში, არამედ ის, რომ ბევრი ადამიანი დაარწმუნა იმაში, რომ რელიგიის გაკრიტიკება არ შეიძლება. თუ რელიგიის, რელიგიური აზრების, გრძნობების, ავტორიტეტების კრიტიკა ავკრძალეთ, ჩვენი მდგომარეობა ისეთივე იქნება, როგორიცაა საუდის არაბეთში ან სხვა ნებისმიერ ფუნდამენტალისტურ ქვეყანაში. მათთან სხვა არაფერი ხდება, გარდა იმისა, რომ რელიგიის წინააღმდეგ ნებისმიერი აზრის გამოთქმა ეკრძალებათ. რელიგიური გრძნობები ყველას არ აქვს, და ვისაც არ აქვს, ისიც პატივსაცემი ადამიანია, მასაც აქვს საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება.

**– რა არის ის, რასაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თქვენს ცხოვრებაში?**

– ალბათ კითხვა. ეს ყველაზე დიდი ფანჯარაა სხვა სამყაროებისკენ, ყველაზე დიდი გაქცევა შენი ნაჭუჭიდან, ყველაზე დიდი გადაფრენა სამყაროს კიდეებზე. გაბედულებაც ჩემმა საყვარელმა წიგნებმა მომცეს. კითხვა – გემრიელი და ეგზისტენციალური საქმიანობაა.

ესაუბრა მაკა ყიფიანი

## პედაგოგთა დასახმარებლად

*სამოქალაქო განათლება*

# პროექტული სწავლება – გზა საზოგადოებაში გასასვლელად



მარინე დემეტრაშვილი

სამოქალაქო განათლების სწავლების მისიაა მოსწავლეებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და მათი აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბება. სამოქალაქო ცნობიერება მოიცავს: არჩევანის უნარს, პასუხისმგებლობის განვითარებას, უფლება-მოვალეობების გააზრებას, დამოუკიდებელ განვითარებას და თვითდამკვიდრებას.

სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს პროექტული სწავლება. იგი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, თეორიული ცოდნა პრაქტიკაში განახორციელონ.

საგანმანათლებლო პროექტი 4 ტიპისაა: 1. სასკოლო (პროექტ-გაკვეთილი, ფილმის ჩვენება); 2. სათემო (ვიქტორინა სკოლებს შორის, სოციალურად დაუცველების დახმარება, ტრენინგის ჩატარება, ექსკურსია, დასუფთავება); 3. თემის გარეთ (გაკვეთილი მუზეუმში, ექსკურსია.); 4. გლობალური (პროექტი, ექსკურსია).

პროექტის შემადგენელი ნაწილებია: 1) მიზანი (რომელი პრობლემის მოგვარებას აპირებთ); 2) ადამიანები (შემსრულებლები და პასუხისმგებლები); 3) ბიუჯეტი, (არსებული და მოთხოვნილი რესურსი და მათი ღირებულება); 4) სამოქმედო გეგმა. (საქმიანობები, განსაზღვრული ვადები).

„დასაწყისი არის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი თქვენი სამუშაოსი“ (პლატონი). პროექტის კეთება ეხმარება მოსწავლეებს სწორი აზროვნების ჩამოყალიბებაში (ეგოცენტრული მისწრაფებებით არ უნდა აზროვნებდეს), თუ როგორ განსაზღვრონ ცხოვრების წესი რაციონალურად, არა მარტო თავიანთთვის, საზოგადოებისთვისაც. პროექტის კეთება ეხმარება მათ კომუნიკაციური უნარჩვევების შეძენასა და განვითარებაში. ესგ-ში არის ერთ-ერთი პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენცია – უზრუნველვყოთ მოსწავლის სოციალიზაცია. სოციალიზაციის დროს ადამიანი ბედნიერია. ბედნიერი ადამიანი აგრესიული არ არის. როცა ხალხთან მუშაობ, საჭირო ინფორმაციის მისაღებად აუცილებელია მოქნილობა. ასევე სწავლობენ, როგორ გამოიყენონ ტექნოლოგია ინფორმაციის მისაღებად, როგორ დაამყარონ კავშირი ინსტიტუტებთან. პროექტის კეთება მომსახურებაზე დაფუძნებული სწავლებაა. იგი უხსნის კარს მოსწავლეებს საზოგადოებაში გასასვლელად.

პროექტის განხორციელებისას, პირველია პრობლემის იდენტიფიცირება. შემდეგი ეტაპია სტრატეგიის განსაზღვრა, ანუ რა უნდა გავაკეთოთ. რა შეიძლება ისწავლონ თემში არსებული პრობლემებიდან. ეს ყველაფერი სიღრმისეულ, პროფესიულ მიდგომას და მიზანმიმართულ მოქმედებას მოითხოვს. პირადად მე ორიენტირებული ვარ აღმოჩენაზე. მოსწავლეებს ვაძლევ მიმართულებას, სად მოიპოვონ ინფორმაცია. ვენდობი მათ და ვეხმარები მიდგომებში. თავს არ ვახვევ ჩემს აზრებს, საშუალებას ვაძლევ შეაფასონ ჩავარდნის, წარუმატებლობის მიზეზები, რადგან შეცდომებზე ვსწავლობთ. ვითხოვ, დასვან რაც შეიძლება მეტი შეკითხვა. ზოგჯერ ჰგონიათ, რომ ყველაფერი იციან, მაგრამ თუ დასვამენ შეკითხვას, მიხვდებიან, რომ მათი ცოდნის იქით არის რაღაც, რაც ძალიან საინტერესოა; ვასწავლი, რომ რაც შეიძლება მეტი შეკითხვა დაუსვან პრობლემის ირგვლივ (მთავრობას, არასამთავრობო ორგანიზაციებს...) და არ დაეყრდნონ ვარაუდებს. ასეთი მიდგომა უფრო მეტ ინფორმაციას მოგვცემს არსებული პრობლემის ირგვლივ. ინფორმაცია კი ძალაუფლებაა.

ჩემი და ჩემი მოსწავლეების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და წარმატებული პროექტია – „ჩვენ მათთვის ვქმნით ახალ მომავალს“, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების პრობლემებზეა ორიენტირებული. ჩვენს სკოლაში ასეთი 37 მოსწავლე სწავლობს, აქედან 9 ეტლით მოსარგებლეა. სკოლაში არის მათთვის შესაბამისი გარემო – ლიფტი, პანდუსი, რესურსოთახი; ემსახურებათ სპეციალური მინი-ავტობუსი. ჩვენი პროექტის მიზანი იყო მათი უკეთ ინტეგრირება საზოგადოებაში, გვინდოდა გვეჩუქებინა მათთვის საინტერესო და ხალისიანი დღეები. დავიწყეთ ინკლუზიური განათლების გაუმჯობესებით ჩვენს მოსწავლეებში და მათ მშობლებში. მოვიწვიეთ ტრენერები, ფონდი თბილისის მოზარდთა სახლიდან. ძალიან საინტერესო იყო თაკო კიკნაველიძის „დაუნის სინდრომთან“ დაკავშირებული ტრენინგები. ასევე მოვიწვიეთ ტრენერები მაკლეინის ორგანიზაციიდან. ისინი ბავშვებს ისეთ თემებზე ესაუბრნენ, როგორიცაა: გონებრივი ჩამორჩენილობა, აუტიზმი, მხედველობის და სმენის დაქვეითება. ტრენინგების შემდეგ ამაღლდა მოსწავლეების ცოდნა ამ სფეროში და რაც ყველაზე მთავარია, გაუმჯობესდა მათი დამოკიდებულება თანატოლების მიმართ, უფრო მეტად მზრუნველები და კეთილგანწყობილები გახდნენ. გაითავისეს, რომ მათი მხარდაჭერა თითოეული ადამიანის ეთიკური მოვალეობაა. სსსმ მოსწავლეები სხვადასხვა სამოქალაქო აქტივობებში ჩავრთეთ.



პროექტის ფარგლებში ვითანამშრომლეთ ადგილობრივ თვითმმართველობასთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ჩვენმა სკოლამ მაქსიმალურად მოარგო ინფრასტრუქტურა სსსმ მოსწავლეების მოთხოვნილებებს, თუმცა ამ თვალსაზრისით, სხვა სკოლებსა და, ზოგადად, ქვეყანაში არასახარბიელო მდგომარეობაა. ჩვენმა პროექტმა მოიპოვა გრანტი, შევძელით დამატებითი თანხის მოძიებაც და სსსმ მოსწავლეებს რესურსოთახში ტექნიკა განვუახლეთ, რაც სსსმ მოსწავლეებს და მათთან მომუშავე პერსონალს გაკვეთილების უკეთ ჩატარებაში დაეხმარება; შევიძინეთ ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის ფაზლებიანი წიგნები; პერიოდულად ვეხმარებით ხატვასა და ძერწვაში, ვაწყობთ მათი ნამუშევრების გამოფენებს.

პროექტმა ხელი შეუწყო სსსმ მოსწავლეების სოციალურ ინტეგრაციასა და თვითრეალიზაციას. რადგან სსსმ მოსწავლეების ცხოვრება სკოლის გარეთაც გრძელდება, გვინდა, რომ ისიც გავულამაზოთ, მოვაწყოთ პიკნიკები მათი მონაწილეობით და სხვა კულტურული ღონისძიებები.

2006 წლის 13 დეკემბერს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ შეიმუშავა „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია“, რომელიც პრეამბულისა და 50 მუხლისაგან შედგება. კონვენციაში დეტალურადაა განხილული შშმპ-ს უფლებები და ის გზები, რომელთა დახმარებითაც ხელმომწერმა ქვეყნებმა უნდა დანერგონ და განახორციელონ კონვენციაში გაცხადებული ვალდებულებები. სამოქალაქო განათლების გაკვთილებზე ჩემს მოსწავლეებს ამ კონვენციის შემოკლებულ ვარიანტს ვაცნობ ხოლმე.

შემიძლია შემოგთავაზოთ დამატებითი მასალა და დოკუმენტები შეზღუდული შესაძლებლობის პირების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშესაწყობად:

- ❖ სალამანკას დეკლარაცია – მიღებული იუნესკოს მსოფლიო კონფერენციაზე;
- ❖ მსოფლიო დეკლარაცია – განათლება ყველასათვის – მიღებული იუნესკოს მსოფლიო კონფერენციაზე.
- ❖ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია – მიღებული გენერალური ასამბლეის 217-ე რეზოლუციით;
- ❖ საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის პირთა სოციალური დაცვის შესახებ – 1995 წელი.

ინკლუზიური სწავლების კვირეულის „თანაბარი უფლებები – თანაბარი შესაძლებლობა“ფარგლებში, სკოლაში მოვიწვიეთ ორგანიზაციის „ხელმისაწვდომი გარემო ყველასათვის“ წარმომადგენლები: **გიორგი ალავიძე, სალომე მიქაძე, სოლომონ ჯღუნიაშვილი**; სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის თავმჯდომარე **ნინო ბესელია**; ასევე სხვა სკოლის მასწავლებლები და სამოქალაქო განათლების კლუბის წევრი მოსწავლეები. შეხვედრა შედგა არაფორმალურ გარემოში. ორგანიზაციის წევრებმა მოსწავლეებს თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს. ბავშვებმა კი მათ საჭიროებებზე ისაუბრეს.





სასკოლო აქტივობა

# მარადისობის ბინადარი

2015 წლის 17 ნოემბერს სსიპ ოტია იოსელიანის სახელობის წყალტუბოს №1 საჯარო სკოლის (დირექტორი – **ფაქიზო ფანჩულიძე**, მოადგილე – **დალი სილაგაძე**) ოტია იოსელიანის სახელობის კაბინეტ-მუზეუმში გალაკტიონ ტაბიძის საიუბილეო საღამო გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ: საპატიო სტუმარი – ოტია იოსელიანის ვაჟი **დაჩი იოსელიანი**, სკოლის დირექცია, მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები.





მოსწავლეებმა: **გიორგი ფანცხავამ, გიორგი დონღვანმა, პაატა გალდავამ, ლუკა ახრახაძემ, გიორგი ჯიშკარიანმა, ზურაბ ჩაჩავამ, ნიკა უგლავამ, სოფიო გურეშიძემ, ლიკა ახრახაძემ, ალექსანდრე ჯიმშელეიშვილმა, მართა იობიძემ, ნანა შვანგირაძემ, ლანა ქაშიბაძემ** მხატვრულად წაიკითხეს გალაკტიონ ტაბიძის სხვადასხვა თემაზე დაწერილი ლექსები, რომლებშიც გენიოსი პოეტის მთელი ცხოვრება იკითხება. ცხოვრება, რომლის ამოსავალი წერტილი მუსიკა იყო, მგოსნის სულში ყოველთვის მუსიკის ჰანგი ხმიანობდა, თვით სიცივის, თუნდაც სიბნელის, ნგრევის, სიკვდილის თარეშის დროსაც. მუსიკის ჰარმონიას იყო შეფარებული მისი არსება და პოეტური წარმოსახვა.

გალაკტიონმა შემოქმედების ადრეულ საფეხურზევე დაისაკუთრა „პოეტების მეფის“, „გენიალური ლირიკოსის“, „ლეგენდარული გალაკტიონის“ უიშვიათესი სახელები.

*„რომ შექმნა რაიმე დიადი, უნდა გჯეროდეს საკუთარი თავის და ვერასოდეს ვერ დაუჯერებ თავს, თუ სასაცილოდ დამარცხდები. რომ შექმნა რაიმე დიადი, არ უნდა გეშინოდეს ხვალინდელი დღის“* – ბრძანებდა გალაკტიონი, რომელმაც კარგად უწყოდა, რომ მისი პოეზია იყო ცხოვრების მასაზრდოებელი ძარღვი, ის „რაიმე დიადი“, ასე რომ ამშვენებდა ქართული ლექსის საგანძურს.

მოსწავლეებმა ისაუბრეს დიდი შემოქმედის ცხოვრების ეტაპებზე, მის ტრაგიკულ ბედზე და ლიტერატურული კომპოზიცია დაასრულეს პოეტისავე სიტყვებით: „როგორც ერთია ქვეყანა მთელი, ისე ერთია გალაკტიონი“.





სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა ფაქიზო ფანჩულიძემ ისაუბრა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაზე, თავადაც წაიკითხა პოეტის ლექსი, აღნიშნა, რომ გამომეტყველებით კითხვა მაღალი ხარისხის მაჩვენებელია, იგი მხატვრული კითხვის საფუძველია და ხელს უწყობს წაკითხულის უკეთ გაგებას, ამიტომაცაა, რომ ჩვენი მოსწავლეები დიდ ყურადღებას აქცევენ მხატვრულ კითხვას, რაც ამჟამადაც კარგად გამოჩნდა. ქალბატონმა ფაქიზომ ღონისძიების მონაწილენი დააჯილდოვა სიგელებით და უსურვა მათ, კვლავაც განსაკუთრებული ინტერესი გამოეჩინათ პოეტური ქმნილებების მიმართ.

ბატონმა დაჩი იოსელიანმა მოსწავლეებს მოუწონა პოეზიის დიდი სიყვარული, უსურვა შემდგომი წარმატებები, შემდეგ მოისმინეს ავტორის მიერ წაკითხული „მთაწმინდის მთვარე“. დასასრულს ბატონმა დაჩიმ აღნიშნა: *„სამშობლო დროზე ვერ ეფერება ღირსეულთ და ისინიც კვდებიან, „როგორც პოეტს შეჰფერის“, მიდიან იმედით, რომ შთამომავლობა მათ „ხსოვნას სანთლებად აინთებს“.*

**დოდო ხაჩიძე**
*ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე*

# ჩვენი ეპოქის სწორუპოვარი ლირიკოსი

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ მარაბდის საჯარო სკოლაში (დირექტორი – **თამრიკო ფიჩხულაშვილი**), დიდი ყურადღება ექცევა არა მარტო სასკოლო განათლებას, არამედ მოსწავლეთა შემოქმედებით განვითარებასაც. ამის ნათელი მაგალითია სკოლაში განხორციელებული სხვადასხვა პროექტები. ერთ-ერთი მათგანია გალაკტიონ ტაბიძის დაბადებიდან 124 წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეული: „გალაკტიონი – ჩვენი ეპოქის სწორუპოვარი ლირიკოსი“, რომელიც 17 ნოემბრიდან 26 ნოემბრის ჩათვლით ჩატარდა, პედაგოგ **ლეილა ამინაშვილის** ხელმძღვანელობით.

კვირეულის ფარგლებში, მოსწავლეებმა წარმოვადგინეთ ძირითადი ცნობები გალაკტიონის ბიოგრაფიიდან, წავიკითხეთ საინტერესო ფრაგმენტები მისი ცხოვრებიდან; შევავსეთ ჩვენთვის სპეციალურად შედგენილი კითხვარი-ფურცლები გალაკტიონის შემოქმედებასთან დაკავშირებით; ერთი დღე დავუთმეთ გალაკტიონის პოეზიის ლიტერატურულ-ასოციაციური რუკის შედგენას და გალაკტიონის შემოქმედების ამსახველი სტენდის გაკეთებას. ასევე მოვაწყვეთ მინი-დისკუსია თემაზე: „შეიძლება თუ არა რეალურ ცხოვრებაში იმის მიღწევა, რაზეც ვოცნებობთ“ (გალაკტიონის ლექსის „რაც უფრო შორს ხარ“ მიხედვით). დაბოლოს, მხატვრული კითხვის ტურში, მოსწავლე-დეკლამატორებმა ჩვენთვის ყველაზე საყვარელი ლექსები წავიკითხეთ.

მე შევარჩიე ლექსი „მთაწმინდის მთვარე“, რომელიც გალაკტიონს განსაკუთრებით უყვარდა და თავისი შემოქმედების „გასაღებთაგანს“ უწოდებდა. „მთაწმინდის მთვარე“ ჩემი პროგრამული ლექსია. – რატომ არის მთვარე და არა მზე? უვიცს არ ესმის, რომ „მთვარე საწყისია ვაჟურობის, მზე ქალურობის“ – ასე წერდა გალაკტიონი საკუთარი ლექსის შესახებ.

კითხულობ „მთაწმინდის მთვარეს“ და ცდილობ, პოეტის თვალით შეხედო ჩვენს მშობლიურ ბუნებას და შეძლო მასში ბევრი ახალი ფერი, ახალი ჩრდილი და შუქი დაინახო; კითხულობ და რწმუნდები პოეტის ნიჭიერებაში და გჯერა, რომ იგი ყოველი ჩვენგანის ფიქრებისა და ოცნებების მესაიდუმლეა; გვასწავლის სიყვარულს, ქცევას, სათუთ დამოკიდებულებას ერთმანეთის მიმართ და გაიძულებს, იყო უბრალო, კარგი ადამიანი.



გალაკტიონის ლექსების მხატვრული კითხვის ტურის გამორჩეულმა მოსწავლეებმა – **ლარისა გვასალიამ** და **გიორგი ვიბლიანმა**, პარალელურად, მონაწილეობა მიიღეს ქვემო ქართლის რეგიონში გამართულ ფესტივალში „პოეზიის ინტეგრალები“, რომელიც თეთრიწყაროში ჩატარდა და სკოლის მოსწავლეებისათვის ქართველი პოეტების ლექსების მხატვრული კითხვის კონკურსს ითვალისწინებდა. ლარისა გვასალიას მიერ წაკითხულმა ლექსმა „მოგზაურობა გალაქტიკაში“ დამსწრე საზოგადოების აღფრთოვანება გამოიწვია, რაც გამოიხატა ხანგრძლივ აპლოდისმენტებსა და ჟიურის წევრთა შექებაში – „შენ ყველაზე საუკეთესო ხარ“, თუმცა, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, იგი საპრიზო ადგილების მიღმა დარჩა. თურმე, ასეც ხდება...





მირჩევნია დავუბრუნდე ისევ გალაკტიონს და მისი ლექსების კრებულს, რომლის თითოეული გვერდის გადაფურცვლისას იმ ემოციით ივსები, რომლის მოტანა მხოლოდ უდიდესი პოეტის ლექსს შეუძლია. დამიჯერეთ, თუ ერთხელ მაინც გადაშლით გალაკტიონის ლექსების წიგნს, მერე მისი დახურვა არც ისე ადვილი იქნება, იმიტომ რომ, გალაკტიონის გადაშლილი წიგნი ომში გამარჯვებაა, მზის სხივის პოვნაა, ჩვენი ურთიერთობების სათავეა.

„ვინაც გაიგებს ჩუქურთმას ქართულს, ის პოეზიას ჩემსას გაიგებს“ – წერდა გალაკტიონი და მართლაც, მთელი მისი შემოქმედება კიდევ ერთი დადასტურებაა ქართველი ერის მრავალსახოვანი ნიჭიერებისა.

მე დღეს გალაკტიონის „ლექსი ვარ“!...

**ქეთევან ფიჩხულაშვილი**
*სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ მარაბდის საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლე*

სასკოლო აქტივობა

# ჯანსაღი თაობა ერის სიძლიერეა

სსიპ ქალაქ თბილისის 72-ე საჯარო სკოლაში (დირექტორი – **მანანა კიკაჩეიშვილი**) საბუნებისმეტყველო კათედრამ, ბიოლოგიის მასწავლებლის, **ესმა გუკასიანის** თაოსნობით, მნიშვნელოვანი და მხიარული ტრადიცია დაამკვიდრა. ეს არის სპორტული შეჯიბრი „ჯანსაღი თაობა ერის სიძლიერეა“. ღონისძიება წელიწადში ორჯერ ტარდება და მიზნად ისახავს მოსწავლეებში, როგორც ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, ასევე საბუნებისმეტყველო საგნებთან და მუსიკასთან სპორტის ინტეგრაციას. საბუნებისმეტყველო გაკვეთილებზე მოსწავლეები თეორიულ ცოდნას იღებენ იმის შესახებ, რომ აუცილებელია თავი აარიდონ სიგარეტს და ნარკოტიკს, აირჩიონ ცხოვრების ჯანსაღი წესი და მისდიონ სპორტს. ჩვენს მრავალეროვან სკოლაში ეს უკვე ტრადიციად იქცა. მიმდინარე წლის 27 ნოემბერს სკოლაში სტუმრად იყო საქართველოს რაგბის ნაკრების წევრი **ლაშა ხმალაძე**, რომლის მიმართვა მომავალი სპორტსმენებისთვის დიდი სტიმული იყო.

მოსწავლეები ხალისით ჩაერთვნენ სპორტულ შეჯიბრში, პასუხისმგებლობით ასრულებდნენ დავალებებს. შეჯიბრი თორმეტ სახეობაში ჩატარდა, აქტივობები გათვლილი იყო როგორც ფიზიკურ მომზადებაზე, ისე მოხერხებულობასა და გონიერებაზე. მონაწილეობა მიიღო ორმა გუნდმა: „ორბები“ და „არწივები“. გუნდები შემთხვევითობის პრინციპით იყო დაკომპლექტებული. ერთი ასაკის (მერვე კლასი) სხვადასხვა ეროვნების, ქართული და რუსული სექტორის მოსწავლეები ერთმანეთის მხარდამხარ იბრძოდნენ გამარჯვებისთვის. მონაწილეებმა სიამოვნებით მოირგეს ექიმის ხალათი და ბიოლოგიის გაკვეთილზე შესწავლილი „პულსი“ და „არტერიული წნევა“ შეუმოწმეს ერთმანეთს, ჩაინიშნეს და შეჯიბრების შემდეგ მიღებულ მონაცემებს შეადარეს. ღონისძიებას განსაკუთრებული ელფერი შესძინა გულშემატკივრების მიერ მომზადებულმა მუსიკალურმა ნომრებმა.



სპორტული შეჯიბრის ორგანიზებაში მონაწილეობა მიიღეს: სკოლის ადმინისტრაციამ, სპორტისა და ესთეტიკის კათედრის პედაგოგებმა: **ნინო გიორგობიანმა, მაკა ძივძივაძემ, დალი სარჯველაძემ, ხათუნა ჭედიშვილმა, სალომე ასანიძემ, მანანა ჩიკვაიძემ.**

მომავლისთვის ამ ტრადიციის გაფართოებას და მარათონში სხვა სკოლების გამოწვევას ვგეგმავთ.

**ნანა აბრამიშვილი**
*დირექტორის მოადგილე*





სამოქალაქო განათლება

# სიკეთე გადამდებია

ახალგაზრდები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროცესში. სასკოლო სამოქალაქო კლუბები ის პლატფორმაა, რომელიც ადრეული ასაკიდანვე უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სკოლებში არსებული სამოქალაქო კლუბები ხელს უწყობს მოსწავლეებს სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის ყოველდღიურ საქმიანობაში გამოყენებაში. სასკოლო სამოქალაქო კლუბის აქტივობებში მონაწილეობით მოსწავლეები საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმეს აკეთებენ, კარგ მოქალაქეებად ყალიბდებიან და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში მონაწილეობენ.

ჩვენი სკოლის სამოქალაქო კლუბი „მაძიებელი“ ბევრი პროექტისა თუ იდეის ავტორია. ერთ-ერთი საინტერესო და საზოგადოებისთვის სასარგებლო საქველმოქმედო აქცია კლუბმა დაგეგმა წილკნის საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლში, სადაც ამ მომენტისთვის 9 ბენეფიციარი იმყოფება. დასახული მიზნის განსახორციელებლად კლუბის საინიციატივო ჯგუფმა სასკოლო საზოგადოებას თხოვნით მიმართა, მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის ტანსაცმელი შეეგროვებინათ.

სიკეთე გადამდები აღმოჩნდა და ჩვენი მოსწავლეები უშურველად აგროვებდნენ ზამთრისა თუ ზაფხულის ტანსაცმელს თანატოლებისთვის.



28 ნოემბერს, სამოქალაქო კლუბის წევრები, პედაგოგებთან (სამოქალაქო განათლების პედაგოგი – **ლელა შველიძე**, დირექტორის მოადგილე – **ნარგიზ ქილიფთარი**) ერთად, წილკნის ბავშვთა სახლს ვესტუმრეთ. მოსწავლეთა უსაფრთხო ტრანსპორტირებაში დახმარება გაგვიწია თბილისის მუნიციპალიტეტის ქვემო სამგორის მაჟორიტარმა დეპუტატმა **ლია ჯახველაძემ**, რომელმაც ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს სურსათი და პირადი ჰიგიენის საგნები მიართვა საჩუქრად.

ჩასვლისთანავე, ჩვენი სკოლის შემოქმედმა ბავშვებმა კულტურული ღონისძიება მოაწყვეს და თანატოლებს ცხოვრების ერთი დღე გაუხალისეს. იყო გულთბილი დახვედრა, ახალი მეგობრობის დასაწყისი. ბავშვთა სახლის აღსაზრდელებმა თავიანთი ხელნაკეთი ნამუშევრები დაგვათვალიერებინეს, ადგილზე გავეცანით მათი ცხოვრების წესსა და პირობებს, დავტოვეთ ჩანაწერი შთაბეჭდილებების წიგნში. დაუვიწყარი, ლამაზი დღე ვაჩუქეთ ერთმანეთს. ადამიანისთვის ხომ უდიდესი ბედნიერებაა სხვა ადამიანებისთვის სიხარულის მინიჭება.

**ნინო გახარია**
*სსიპ ქალაქ თბილისის №94 საჯარო სკოლის დირექტორი*







სპორტი

# ლამაზი კომბინაციებით დატვირთული თამაში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტისა და ხელოვნების ცენტრის (დირექტორი – **ზაურ ფხალაძე**) და სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით, დიდი ქართველი ფეხბურთელების და შემდგომში მწვრთნელების – **ვლადიმერ ელოშვილის** და **გრიგოლ გაგუას** ხსოვნისადმი მიძღვნილი საფეხბურთო ტურნირი ჩატარდა, რომელშიც ქართველი და უცხოელი სტუდენტები მონაწილეობდნენ. ტურნირში მონაწილეობის სურვილი 16-მა გუნდა გამოთქვა. გუნდები 4 ქვეჯგუფად და ოთხ-ოთხ გუნდად დაიყო. ჯგუფებიდან პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდები მეოთხედფინალში, ხოლო შემდეგ ნახევარფინალში შეხვდნენ ერთმანეთს. პირველი ნახევარფინალი, ნიგერიისა და პირველკურსელთა ნაკრები გუნდების შეხვედრა, 4:2 დასრულდა, ნიგერიის გუნდის გამარჯვებით; მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „მომავალი მედიკოსები“ და თურქეთის ნაკრები გუნდები. ფინალში გავიდა „მომავალი მედიკოსები“. მესამე ადგილი დაიკავა პირველკურსელთა ნაკრებმა გუნდმა.

ფინალური შეხვედრა ნიგერიასა და „მომავალ მედიკოსებს“ შორის გაიმართა. გუნდებმა ენერგიული და ლამაზი კომბინაციებით დატვირთული თამაში აჩვენეს. პირველი ტაიმი ქართველი სტუდენტების გამარჯვებით დასრულდა – 2:0; მეორე ტაიმის მეხუთე წუთზე ნიგერიელმა სტუდენტებმა ანგარიში გაათანაბრეს (2:2) და მალე დაწინაურდნენ კიდეც (4:2). თამაშის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე, ნიგერიელებმა რამდენიმე შეტევა განახორციელეს და შეხვედრაც მათი გამარჯვებით დასრულდა 6:4.

თსსუ თვითმმართველობის წარმომადგენელმა, **გიორგი საღინაძემ** და ტურნირის მთავარმა მსაჯმა **ვახტანგ ბაქანიძემ** საპრიზო ადგილზე გასული გუნდები თასებით და მედლებით დააჯილდოვეს.

ღონისძიების დასასრულს დასახელდნენ გამორჩეული ფეხბურთელები: საუკეთესო მეკარე – **გიორგი ნოზაძე**; ტექნიკური ფეხბურთელი – **შოთა ჩხეიძე**; საუკეთესო თავდამსხმელი – გუნდის კაპიტანი **ალეკო ბერიძე**; საუკეთესო ბომბარდირი (14 გატანილი გოლი) **ერხან ჩეთირი**, ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი **კლიფ-ნჯაჰ ვერეოვაჯი** – თსსუ ნაკრები გუნდის წევრები ნიგერიიდან.

**ვახტანგ ბაქანიძე**
*თსსუ საფეხბურთო ნაკრები გუნდის მწვრთნელი, ტურნირის მთავარი მსაჯი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე*






# „აია“ სეზონის ჩემპიონია

ჭაბუკ მორაგბეთა A ლიგის პირველობა ქუთაისის „აიამ“ მოიგო. ფინალურ პაექრობაში მათ თბილისში „ლელო სარასენზი“ 37:13 დაამარცხეს.

„აიამ“ თამაშის დაწყებიდანვე ხელთ იგდო ინიციატივა და სათამაშო უპირატესობას ფლობდა, რაც ორ გარდასახულ ლელოში გამოიხატა – თავი შვანგირაძემ და კვიცარიძემ გამოიჩინეს, რასაც კვიცარიძემ ერთი არეკნი, ფურცხვანიძემ კი ერთი ჯარიმა დაუმატეს. ლელოელებმა მათ ამ სოლიდურ უპირატესობას ხითარიშვილის მიერ გატანილი ორი საჯარიმოთი უპასუხეს.

თბილისელებმა მეორე ტაიმში შეტევის ტემპს კი უმატეს, მაგრამ რიონისპირელები მაინც ვერ დაჯაბნეს, მაინც ვერ დაათმობინეს ინიციატივა. შედეგად, მათ ისევ ორი ლელო დადეს – თავი ორივეჯერ საბა ირემაშვილმა გამოიჩინა, საბა ფურცხვანიძემ კი ორივე გარდასახა. ერთი ლელო თბილისელებმაც დადეს – ბექა საღინაძემ, რაც ნიკა ხითარიშვილმა გარდასახა.

მესამე ადგილისთვის შეხვედრაში თბილისის ასკ-მ რუსთავის „ხარებს“ დაძაბულ ბრძოლაში 24:22 აჯობა. აქ ყველაფერი დამრტყმელთა დუელმა გადაწყვიტა: ორივე გუნდმა სამ-სამი ლელო დადო და თითო ჯარიმაც გაიტანა, მაგრამ თბილისელმა გოგოლაძემ სამივე ლელო გარდასახა, რუსთაველმა გაჩეჩილაძემ კი ერთი ააცილა და გამარჯვებაც ჭაბუკ არმიელებს დარჩათ.

ბარემ აქვე მორაგბეთა ერთ-ერთი ასაკობრივი ნაკრების მორიგ წარმატებაზეც გეტყვით – 20-წლამდელთა ნაკრები, გაისად, 16 თებერვლიდან 6 მარტის ჩათვლით, სამხრეთ ამერიკულ ტურნეშია მიწვეული, რომლის ფარგლებშიც, ორ-ორ შეხვედრას ჩაატარებენ არგენტინელ და ურუგვაელ თანატოლებთან. ჩვენები 20-წლამდელთა მსოფლიოს თასისთვის ემზადებიან, რომელიც გაისად მანჩესტერში ჩატარდება.

# ქანდელები მუზეუმში

მიმდინარე კვირაში საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სპორტის მუზეუმს სტუმრები ჰყავდა – ეწვივნენ მცხეთის რაიონის სოფელ ქანდას საჯარო სკოლის მოსწავლეები და დაათვალიერეს იქ გამოფენილი მნიშვნელოვანი ექსპონატები. ამ მუზეუმის შექმნა-არსებობის ერთ-ერთი დანიშნულება ესეცაა – არა მარტო უფროსებს ან უცხოელ სტუმრებს, არამედ ქართველ მოზარდებსაც გააცნოს ქართული სპორტის მართლაც უმდიდრესი ისტორია, მისი დღევანდელობა, სამომავლო პერსპექტივები და მოზარდებს მისცეს კარგი მაგალითი, გაუღვიძოს ცხოვრების ჯანსაღი წესისადმი ინტერესი.

აქედან გამომდინარე, საყურადღებოა ქანდელთა ინიციატივა, საკუთარი თვალით ენახათ ეს ყველაფერი. მით უფრო, სკოლები ხშირად არ იჩენენ ინტერესს, ხოლო რაიონების სკოლებიდან ხომ კიდევ უფრო იშვიათია ამგვარი ნაბიჯი.

სტუმრებს ხელცარიელი არც მასპინძლები დახვედრიან გარდა იმისა, რომ ყველა ექსპონატის ისტორია გააცნეს, საჩუქრებიც გადასცეს მათ – ოლიმპიურ თემატიკაზე შექმნილი წიგნები: „მოგზაურობა ოლიმპეთში“ და „ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები – 34“.

**ირაკლი თავაძე**




მასწავლებლის ბიბლიოთეკა



**მასწავლებლის სამუშაო რვეული**

**მასწავლებლის სამუშაო რვეული** პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

4 ლარი



**ინტერაქტიური მეთოდების კრებული**

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

6 ლარი

შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
599880073, 0322958023



**მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით**

**საინფორმაციო გზამკვლევი** აგებულია კითხვა-პასუხის კონცეფციაზე. მასში განხილულია მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხები: სწავლების, შეფასების, კომუნიკაციის, მოტივაციის, სასკოლო კონფლიქტების, სწავლის თეორიების და სასწავლო გარემოს აქტუალურ საკითხებზე. წიგნი დაეხმარება მასწავლებლებს, პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტებს.

3 ლარი



**კათედრის გამგის პორტფოლიო**

**კათედრის გამგის პორტფოლიო** საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი



**მასწავლებლის კალენდარი**

2015-2016 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას.**

**კალენდარს ახლავს** პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

5,50 ლარი

წიგნის თარო

# მიმდინარეობს ხელმოწერა

## მასწავლებლის ბიბლიოთეკა



პუბლიკაცია მოიცავს დაწყებითი კლასების მასწავლებლებისთვის საინტერესო საკითხებს. წიგნში მიმოხილულია შემდეგი თემები: ადრეული განათლების მნიშვნელობა ბავშვის შემდგომი განვითარებისთვის, სასკოლო მზაობის ცნება და დახმარების სტრატეგიები სკოლასთან ადაპტაციისთვის, სოციალურ-ემოციური სფეროს განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული რეკომენდაციები, სწავლის მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა, სასწავლო მიზნების ფორმულირება, კრიტიკული აზროვნების, მათემატიკური უნარების, მეტყველების განვითარება და კონკრეტული რეკომენდაციები ზეპირმეტყველებისა და წერითი დავალებებისათვის, კითხვის მნიშვნელობა და კითხვის უნარის სპეციფიკური დარღვევა-დისლექსია, ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა და რეკომენდაციები მოძრავი თამაშებისთვის, განმავითარებელი შეფასების საშუალებები, მშობლებთან თანამშრომლობა, საკლასო ოთახის მოწყობის სპეციფიკა, კლასის მართვის სტრატეგიები.



წინამდებარე სახელმძღვანელოში ავტორების მიერ პრაქტიკულად არის ახსნილი ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის უმნიშვნელოვანესი საკითხების სწავლების მეთოდიკა როგორც პირდაპირი (დედუქციური), ისე არაპირდაპირი (ინდუქციური) სწავლების თვალსაზრისით. სახელმძღვანელო დაეხმარება მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და დაგეგმილი გაკვეთილის ეფექტურად ჩატარების პროცესში.

**თითოეულის ფასი – 7,30 ლარი**



**თამაზ ვასაძე**
**ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის**
4 ლარი

დიოგენე

ნატა ახმეტელი,
ბესიკ ლორთქიფანიძე, ნიკო მურღულია

**ისტორია**
ტესტები ეროვნული გამოცდისთვის
~~9~~ ლარი 8 ლარი

**ისტორია**
თეორიული საკითხები და ტესტები საატესტატო გამოცდებისთვის
~~6~~ ლარი 5 ლარი



ქეთევან ტატიშვილი, ზურაბ ბერაია
**ფიზიკა**
თეორიული საკითხები და ტესტები საატესტატო გამოცდებისთვის
~~8~~ ლარი 7 ლარი





ფასი – 15 ლარი

**შოთა რუსთაველი**
**ვეფხისტყაოსანი**
**ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია**
სერიიდან
ინტელექტი სკოლას










წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა
წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

თამარ გელიტაშვილი,
ამირან გომართელი

თითოეული კრებულის ფასი – 12 ლარი



სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

10 ლარი

## საყმაწვილო ენციკლოპედია

**რა არის რა**

თითო ტომის ფასი 12 ლარი

ავტომობილი
სამურაი
უდაბნო
გამოგონებები
განძის ძიება
გლადიატორები
დრო და კალენდარი
ძველი ეგვიპტე
ევროპა
ვიკინგები
ფიზიკა
ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
კოშკები და ცათამბჯენები
უძველესი ადამიანები
მათემატიკა
ძველი რომი
ძველი საბერძნეთი



**აქცია**

**გთავაზობთ 10 ტომს ენციკლოპედიების სერიიდან „რა არის რა“ სპეციალურ ფასად. პირველი 10 ხელმომწერი თითო ტომს, 12 ლარის ნაცვლად, 7 ლარად მიიღებს.**


ამინდი


არქიტექტურა


კრიმინალისტიკა


ჯანსაღი კვება


მთები


ოლიმპიური თამაშები


მეკობრეები


ქიმია


ხალხთა დიდი გადასახლება


მეცნიერებები

**ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:**

მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

ყურადღება! ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი

## თემატური პლაკატები

### დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პროფესიები
7. შინაური ცხოველები და ფრინველები
8. ჰიგიენის ნივთები
9. საოჯახო ნივთები
10. ტრანსპორტი
11. წყლის ბინადრები

2.50 ლარი

### მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქვეწარმავლები საქართველოში
6. საქართველოს მცენარეები
7. სამყაროს წარმოშობა
8. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ზღვის დინებები
11. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
12. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
13. მსოფლიოს შვიდი საოცრება

4 ლარი

### მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. დავით გურამიშვილი
12. ბესიკი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. გიორგი მერჩულე
17. გრიგოლ ორბელიანი
18. დავით აღმაშენებელი

4 ლარი

### რეპროდუქციები

1. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
3. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
4. მენინები - დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე
7. უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
8. საქანელა - ოგიუსტ რენუარი
9. საკვირაო გასეირნება გრან ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

6.5 ლარი

მითითებულია ერთი ცალის ფასი

გამოფენა

# თანამედროვე ქართული კალიგრაფიის პირველი გამოფენა საზღვარგარეთ

„ქართული და არაბული კალიგრაფიის ხელოვნება. განსხვავებული ხაზები – საერთო გრძნობა“ – ამ სახელწოდებით გამოფენა 25 ნოემბერს, კაიროში, ძველი ქალაქის ისტორიულ შენობაში, „ბეით ეს-სუჰაიმის“ კულტურულ ცენტრში გაიხსნა.





გამოფენის ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს საელჩო ეგვიპტეში, ეგვიპტის კულტურის სამინისტრო და ასოციაცია „ქართული კალიგრაფია“. ღონისძიების მხარდამჭერები იყვნენ ფონდი „იავნანა“, კავკასიის უნივერსიტეტი, ბატონი **ტარიელ გვალია** და სხვა კერძო პირები.

გამოფენის გახსნაზე სტუმრებს სიტყვით მიმართეს საქართველოს ელჩმა ეგვიპტეში, ბატონმა **არჩილ ძულიაშვილმა** და ეგვიპტის კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების საკითხებში, ქალბატონმა **კამელია სუბჰიმ**. გამოფენის გახსნას ასევე ესწრებოდა ეგვიპტის კულტურის სამინისტროს კულტურული განვითრების ფონდის სექტორის თავმჯდომარე **მუჰამედ აბუ სეადა** და კაიროს გუბერნატორის მოადგილე.

გამოფენა 30 ნოემბრამდე გაგრძელდა. სულ წარმოდგენილი იყო 15 ეგვიპტელი და 17 ქართველი კალიგრაფის – **ლეილა ბალბაია, გიორგი გორგიაშვილი, ნონა დავითაია, ვაჟა ერემეიშვილი, იზა ვიბლიანი, ნათია კაპანაძე, თამარ კიკოლაშვილი, სერგი ლაფაჩი, დავით მაისურაძე,**



**ალექსანდრე მამუკაშვილი, გიორგი სისაური, გიორგი ფანქველაშვილი, ნიკა ღუნაშვილი, გიორგი ყაველაშვილი, ლილე ჩხეტიანი, გოგა ჭაბაშვილი, ფიქრია ჭაბუკიანი** – ნამუშევრები.

გახსნამდე, 2 დღის განმავლობაში, „ბეით ეს-სუჰაიმში“, რომელიც ამავე დროს ეგვიპტის კალიგრაფთა გაერთიანების ცენტრია, ქართველი და ეგვიპტელი კალიგრაფების ვორქშოფი გაიმართა. მონაწილეებმა დამსწრე საზოგადოებას გააცნეს ქართული და არაბული კალიგრაფიების ისტორია და თავისებურებები, ისტორიული და თანამედროვე მიმართულებები, წერის ტექნიკა. მათ ასევე ადგილზე შეასრულეს ნამუშევრები, რომელიც შემდეგ გამოფენაზე იქნა წარმოდგენილი.

ქართველმა კალიგრაფებმა და საელჩოს თანამშრომლებმა დაათვალიერეს ცნობილი ეგვიპტელი კალიგრაფის, **მოსად ხოდეირის** შემოქმედებითი სახელოსნო, სადაც მათ საშუალება ჰქონდათ, დაეთვალიერებინათ არაბული კალიგრაფიული ხელოვნების გამორჩეული ნიმუშები.

გამოფენის გახსნისას ქართველმა და ეგვიპტელმა კალიგრაფებმა სტუმრებს სამახსოვრო წარწერები დაუწერეს. აღსანიშნავია, რომ ქართულმა დამწერლობამ და მისმა ისტორიამ გამოფენაზე მყოფი ეგვიპტის საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. მონაწილე მხარეებმა დასახეს ორი ქვეყნის ხელოვანთა ურთიერთობის სამომავლო პერსპექტივებიც – მათ შორის, სამომავლოდ, მსგავსი ერთობლივი ღონისძიებების მოწყობა საქართველოში.



გამოფენის გახსნას დაესწრო და ვორქშოფში მონაწილეობდა 5 ახალგაზრდა ქართველი კალიგრაფი:პ **გიორგი გორგიაშვილი, სერგი ლაფაჩი, დავით მაისურაძე, ალექსანდრე მამუკაშვილი** და **გიორგი სისაური**.

ღონისძიებაზე მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ ეგვიპტის ხელისუფლებისა და საზოგადოების, ასევე კულტურის სფეროს წარმომადგენლები. გამოფენის გახსნას დაესწრნენ ეგვიპტეში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები.

ფოტოების ავტორი – ბუბა კუდავა
თამარ კიკვაძე
*ასოციაცია „ქართული კალიგრაფია“*


სერიის ფასი – 17.70ლ



## ქართული ენის კრებულები

ერთიანი სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

## ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია „ნამდვილი და მოგონილი ამბები“ შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით. წიგნებში მოცემულია: სახალისო აქტივობები, მარტივი ინსტრუქციები, ასაკისთვის შესაბამისი ენით დაწერილი საბავშვო ტექსტები, რაც დაეხმარება კლასის დამრიგებელსა თუ მშობლებს, გაუღვივონ ბავშვებს წერის, კითხვისა და მეტყველების უნარ-ჩვევები.

სერიის ფასი – 30.40ლ



## სიახლე

წიგნის თარო

## მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ Facebook გვერდზე

fb.com/bakursulakauripublishing

ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

გაიხსენეთ თეორიული მასალა ამ წიგნის მიხედვით და მოაწყვეთ საატესტატო გამოცდების სიმულაცია სახლში!




თითოეული კრებულის ფასი – 9.90ლ



ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >


CMYK